# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 3 ნოემბერი, 2012 წელი.

№212 (7088)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილს კანცელარიის საპრეზიდენტო რეზიდენციით სარგებლობისკენ მოუწოდებს

2



## 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 8 მილიარდს აჭარბებს

## ირაკლი ალასანია: ნამდვილად არ შეიძლება, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავისთვის გამოყოფილი იყოს თვეში 800 000 ლარი

## მამულიშვილი, მეცნიერი

## მრავალჟამიერ სიცოცხლესა და წარმატებებს გისურვებთ



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულწრფელად ულოცავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 90 წლისთავს.

მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიის, კერძოდ, ქართული მედიევისტიკის განვითარებაში, შუქი მოჰფინეს ბევრ მანამდე გადაუჭრელ პრობლემას; ამავე დროს მეცნიერი ყოველთვის გულმხურვალედ, შემართებით გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებისადმი დამოკიდებულებას, პირნათლად იხდის მეცნიერი-პატრიოტის ვალს სამშობლოს წინაშე; მას შეუძლია იამაყოს თავისი ღირსებით განვლილი გზით, შემოქმედებითი საქმიანობითა და საზოგადოებრივი ცხოვრებით.

ვუსურვოთ ქალბატონ მარიამს მრავალჟამიერი სიცოცხლე და მაღალი ღირსებით აღნიშნული წარმატებული საქმიანობის გაგრძელება.

აკადემიკოსი
**თამაზ გამყრელიძე**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

იხ. 6-7 გვ.

## ავთვისებიანი ხორცმეტი სასწრაფოდ უნდა ამოიძირკვოს

3



## „თქვენი იყოს, წაიღეთ ევროპაც და პარიზიც, მე კი ისევ კრასნოდარში წავალ“

4

## რას ვერჩით ნიჭიერ ბავშვებს?

9



## უკაცრავად, მაგრამ თქვენ არ იყავით, ბატონებო, მონოპოლისტებს გუნებიერად რომ ეხუთებოდით?!

5

# ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილს კანცელარიის საპრეზიდენტო რეზიდენციით სარგებლობისკენ მოუწოდებს




**როგორც ივანიშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, პრეზიდენტის მომსახურებაში ბიუჯეტიდან ძალიან დიდი თანხები იხარჯება, რაც დაუშვებელია.**

— ჩვენ მკვეთრად შევამცირებთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსებას, რადგან მის მომსახურებაში ძალიან დიდი ხარჯებია. 800 000 ლარი მხოლოდ პრეზიდენტის სასახლის ელექტროენერგიის გადასახადისთვის გამოიყო. სააკაშვილი, რომელიც ვადას იგრძელებს, ბიუჯეტიდან ამხელა თანხას მოიხმარს. ქვეყანაში, სადაც ამდენი გაჭირვებული ადამიანი ცხოვრობს, პრეზიდენტის მომსახურებაზე ამხელა ხარჯების გაწევა წარმოუდგენელია. ჯერ მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად 800 000 ლარი ირიცხება, სააკაშვილის მეორე თვითმფრინავის შენახვაზე, პირველი თვითმფრინავის ხარჯები ჯერ ისევ არ გვაქვს გარკვეული, — განაცხადა ივანიშვილმა. მისივე განმარტებით, ასეთი ტიპის დაფინანსებები აღარ იქნება და შეიკვეცება ბევრი ხარჯი. შესაბამისად, პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტს მოუწოდეს, მთავრობის კანცელარიაში არსებული საპრეზიდენტო რეზიდენციით ისარგებლოს, რომელიც, ივანიშვილის ინფორმაციით, ამ ეტაპზე დალუქულია და მას ისეთივე ფართობი უკავია, როგორც პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას.

გარდა ამისა, ივანიშვილმა განმარტა, რომ მომავალში როგორც ქვეყნის პირველი პირი პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციით სარგებლობას არ აპირებს, რადგან, მისი თქმით, ქვეყნის ინტერესებში ასეთი ფეშენებელური შენობის მომსახურება არ შედის.

— როცა ქვეყანაში ამდენი დევნილი ცხოვრობს, ამორალურია იმ სასახლეში ცხოვრება. ათობით მილიონის ეკონომია შეიძლება გაკეთდეს და მთავრობა ამ თანხებს უკეთ გამოყენებს. ბევრი შეკითხვა ჩნდება ბოკერიას უწყების დაფინანსებასთან დაკავშირებითაც. ამ უწყებისთვის 30 მილიონია გამოყოფილი, მაშინ როდესაც ზაქარეიშვილის უწყება, რომელიც იმდენივე კადრით არის დაკომპლექტებული, მხოლოდ მილიონნახევარს მოიხმარს. გარდა ამისა, ბოკერიას უწყებაში 21 მილიონი არის საიდუმლო ხარჯები, რაც, ჩემი ვარაუდით, ლობისტებზე დახარჯული თანხა უნდა იყოს, — აღნიშნა ივანიშვილმა.

გარდა ამისა, მისივე ინფორმაციით, ქალაქის ბიუჯეტში 100 მილიონით ნაკლები ტრანსფერი განხორციელდება და ხარჯების ოპტიმიზაციის ხარჯზე მოხერხდება დევნილების ხარჯების გაორმაგება და სოფლის მეურნეობის, განათლებისა და ჯანსდაცვის სფეროების დაფინანსება.

— სამინისტროების შენობები შეიძლება ავარიული იყოს, თუმცა ყველა მათგანი შიგნიდან აღჭურვილია მეტისმეტად მდიდრულად ჯაკუზებითა და სხვადასხვა ფუფუნების საგნებით. ასევე, მიმდინარეობს ახალი მთავრობის სასახლის მშენებლობა, რაც გრიფით საიდუმლოა, თუმცა ის ასევე შეჩერდება, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, მოწოდების გარდა მთავრობა კანონის ფარგლებში გამოიყენებს ყველა ბერკეტს, რათა პრეზიდენტის სასახლის დაფინანსება მაქსიმალურად შეიზღუდოს.

# 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 8 მილიარდს აჭარბებს

**ფინანსთა მინისტრი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე 2013 წლის ბიუჯეტის პროექტს წარადგენს, რომელიც პარლამენტში 5 ნოემბერს უნდა შევიდეს, — ამის შესახებ ნოდარ ხადურმა სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა.**

მისი განმარტებით, ბიუჯეტში გამოიძებნა რესურსები, რათა ყველა წინასაარჩევნო დაპირება შესრულდეს.

ამასთან, მინისტრის განმარტებით, არ იგეგმება კადრების მნიშვნელოვანი შემცირება და დაფინანსების შემცირება შეეხება მხოლოდ ისეთ პროექტებს, რომელთა საჭიროება ამ ეტაპზე არ არსებობს.

— კერძოდ, აღარ ავაშენებთ ქუთაისში პარლამენტს და ამაზე 340 მილიონს აღარ დავხარჯავთ. არ ავაშენებთ „ანბანის კოშკს" და კაფეებს, რაზეც არაერთი ასეული მილიონი ლარია დახარჯული. გავაგრძელებთ მიმდინარე პროექტებს, თუმცა ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა არ იგეგმება. ამავდროულად ფინანსთა სამინისტრომ თავისი დაფინანსება 10%-ით შეამცირა, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

მისივე ინფორმაციით, ბიუჯეტში გაჩნდება დანართი, რომელშიც გაიშიფრება სხვა ხარჯები.

როგორც ხადურმა აღნიშნა, აქამდე „სხვა ხარჯები" მილიონს აჭარბებდა და საზოგადოებისთვის უცნობი იყო, თუ რას მოიცავდა კონკრეტულად ეს ხარჯები.

ამასთან, ნოდარ ხადურის ინფორმაციით, ბიუჯეტი 8 მილიარდზე მეტია.

ინტერპრესნიუსი

◉ სახალხო ზეიმი

# შოთაობა ასპინძაში

**ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში „შოთაობის" სახალხო დღესასწაული აღინიშნა, რომელშიც მონაწილეობდა მწერალთა კავშირი, ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფები და ადგილობრივი მოსახლეობა.**

შოთაობის სახალხო დღესასწაულს სტუმრობდა უკვე ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი, „ნაციონალური მოძრაობის" სხვა წევრებთან ერთად.



სახალხო დღესასწაული ხალხს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ მიულოცა. მან მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს ტრადიციის აღდგენისთვის და ამ დღეს განსაკუთრებული უწოდა, რადგან უდიდესმა პოეტმა და მოღვაწემ შოთა რუსთაველმა მთელ მსოფლიოს გააცნო ჩვენი კულტურა. „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქ, ასპინძაში, მესხეთის ამ ძირძველ მიწაზე შოთაობას ჩაეყარა საფუძველი. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია, აღდგა შემდგომ მივიწყებული ტრადიცია და ყოველწლიურად იმართება შოთაობა. მინდა, თითოეულ ქართველს, აქ მცხოვრებ ადამიანს, ჩვენს საყვარელ სულიერ შვილებს მივულოცო ეს დღესასწაული და უფალს საქართველოს და ჩვენი ხალხის კარგად ყოფნა შევთხოვო."

დიდი ინტერესი გამოიწვია სახვითი ხელოვნებისა და ხალხური რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვამ, ქართულმა ჭიდაობამ.

მრავლად იყვნენ მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები. თბილისიდან და სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა პოეტებმა წაიკითხეს ლექსები. სახალხო ზეიმში ახალციხისა და ასპინძის ანსამბლები მონაწილეობდნენ.

ასპინძის მუნიციპალიტეტმა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" მიერ ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულები დააჯილდოვა.

ფაცხებში ადგილობრივი სამზარეულოს კერძებს დააჭაშნიკებდი.

წლევანდელი შოთაობა იმითაც გამოირჩეოდა, რომ საიუბილეო იყო. 300 წლის წინ, 1712 წელს, ვახტანგ მეექვსის დაარსებულ სტამბაში პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი."

დღესასწაულზე მოსულ სტუმრებს „შოთაობა" მიულოცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა რევაზ მიშველაძემ. მან შოთა რუსთაველის ღვაწლზე ისაუბრა: „რუსთაველს ყველამ თავი უნდა დავუკრათ, რადგან მისი სუნთქვა, მისი სტრიქონები გადმოწვდა საუკუნეებს და დღესაც, ჩვენ რომ ფეხზე ვდგავართ, ქართველმა ერმა ამდენ განსაცდელს რომ გაუძლო, შოთა რუსთაველის დამსახურებაა".

დღესასწაულს საფუძველი 1966 წელს ჩაეყარა. მოგვიანებით, ოცი წლის განმავლობაში, დღესასწაული არ აღინიშნებოდა. 2008 წლიდან კი გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქტორის ავთანდილ ბერიძის დიდი ძალისხმევით აღდგა. დღესასწაული, ძირითადად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ნატა ნიბლაძე





## თამარ შაიშმელაშვილი

### თეთრი ფოთოლი

**შემოდგომაზე აენთება**
**ფერი მგოსანი...**
**თეთრი ფოთოლი ვეფხის ტყავის**
**სიმღერას გალობს...**
**მომეც სურვილი, მზეო,**
**მიჯნურთ შესამოსელი,**
**თამარ დედოფლის ცრემლის წვეთი**
**მოსწყდება ტატნობს.**
**რომელმან შექმნა ეს სამყარო**
**ფერადლალებით...**
**ჩემი სურვილიც ამოქარგა**
**მთვარიან ბეჭდად...**
**როს უცხო მოყმე შავი ცხენის**
**ფლოქვებზმარებით**
**ვარდისფურცლობის სიყვარულის**
**სასწაულს სჭედდა...**
**გარღვეულიყო ზეცა როგორც**



**მესხის ჯავშანი,**
**თრობის გვირილებს**
**გიგროვებდი დედოფლის ფარჩას...**
**უცხო მხარეში დაგეძებდი**
**ქარი აშარი...**
**საქართველოში გაბრუნებდი**
**მლოცველს და მაშვრალს...**
**სიტყვებს საკმევლის სურნელებით**
**ვეძებ მოთოვლილს,**
**სანთლის სხივი ვარ ვარძიაში**
**ახდენილ სიზმრის...**
**ხვალ მესხეთიდან აფრინდება**
**თეთრი ფოთოლი**
**და ლექსში სისხლის**
**დაძახილზე მზენესტანს**
**იხსნის...**

# ირაკლი ალასანია: ნამდვილად არ შეიძლება, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავისთვის გამოყოფილი იყოს თვეში 800 000 ლარი

**ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.**

**მისი თქმით, ეს არის არასწორი და არამიზნობრივი ხარჯი, რომ თითქმის ასი მილიონი დაუჯდეს ხალხს საქართველოს პრეზიდენტის დამატებითი თვითმფრინავით უზრუნველყოფა წელიწადში. ალასანიას თქმით, სწორედ ეს საკითხი არის გადახედილი.**

— ჩვენ ალბათ ამ ვალდებულებისგან გავთავისუფლდებით. ზემოთ ხსენებული მილიონიდან უკვე გადახდილია 13 მილიონი ლარი, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მისი თქმით, იმის გამო, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავით უზრუნველყოფა, აღარ დაფინანსდება, იქნება ეკონომია და ალასანიას განცხადებით ამგვარი ხარჯები მომავალში აღარ გაილება.

როგორც ალასანიამ განაცხადა, მთელი ბიუჯეტი ეფექტურად უნდა იყოს მიმართული ჯარისკაცების, სამხედროების საბრძოლო მზადყოფნის განვითარებისთვის და არა ერთი ადამიანის ფუფუნებისთვის. რაც შეეხება დღევანდელ სხდომას, როგორც ალასანიამ განაცხადა, „დღეს იყო მოთელვა მომავალი წლის ბიუჯეტის, რომელიც წარდგენილი იქნება პარლამენტში. ალასანიას თქმით, მოხდა შეთანხმება გარკვეულ პარამეტრებზე და, როგორც მინისტრმა აღნიშნა, როგორც მთავრობა დაპირდა საზოგადოებას, ახალი მთავრობის სურვილია, მთავრობა იყოს მოქნილი და არ ცხოვრობდეს ხალხის ხარჯზე ფუფუნებაში.

ინტერპრესნიუსი

## დიპლომატი — ქვეყნის სახე

**„თუ მსგავსს აღმოაჩენთ, სახეში შემაფურთხეთ“, — ასეთი პასუხი გასცა ინდოეთში მყოფმა რუსეთის ვიცე-პრემიერმა როგოზინმა ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე. შეკითხვა ეხებოდა რუსეთის მიერ პაკისტანისთვის ისეთი იარაღის მიყიდვას, რომელიც, ინდოელთა აზრით, არღვევს ინდოეთ-პაკისტანს შორის შექმნილ სამხედრო ბალანსს.**

მკითხველისთვის, ალბათ, ცნობილია, რომ ეს ორი სახელმწიფო ერთობ დაძაბულ ურთიერთობაშია ერთმანეთთან. ცხადია, მსოფლიო მედიისათვის ეს ამბავი სულაც არ არის უცხო და, ამდენად, მასზე არავის გაუმახვილებია ყურადღება — მთავარი როგოზინის პასუხი იყო — „შემაფურთხეთ სახეში“. ვიცე-პრემიერს დაუწუნეს დიპლომატიური პროტოკოლი — ასეთი უხეში, არადიპლომატიური ტერმინი, ნატოს შტაბ-ბინაში რუსეთის ყოფილ წარმომადგენელს არ უნდა გამოეყენებინაო.

ნეტავი თქვენი პრობლემები საქართველოს დიპლომატიას ჰქონდესო — ინატრებდა დიპლომატიაში ოდნავ ჩახედული მავანი. და მართალიც იქნება. საქართველოს საგარეო უწყებამ ახალი ჟანგბადი მიიღო დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ. ადრე არსებული საკონსულო-საოქმო ფუნქციიდან თვალის დახამხამებაში მოხდა სუვერენული სახელმწიფოს პოლიტიკის საერთაშორისო არენაზე გამტან-დამცველის ფუნქციაზე გადასვლა.

**გარდამავალი პერიოდი დღესაც გრძელდება და, როგორც ჩანს, კარგა ხანს გაგრძელდება ქართული პოლიტიკიდან გამომდინარე. აუწყობელ ქვეყანაში, რომელშიც გამართულად არც ერთი უწყება არ მუშაობს, შეუძლებელია დიპლომატიის წარმატებებზე ლაპარაკი.**

სრულიად ვიზიარებ ივანიშვილის მოსაზრებას პატრულის წარმატებებთან დაკავშირებით. დასაწყისში იყო წინსვლა, დღეს კი არაფერია დარჩენილი. პოლიცია პოლიტიკურ ორგანოდაა გადაქცეული.

**დაავადებულ ორგანიზმში ერთი ორგანო სანიმუშოდ ვერ იმუშავებს. აქედან გამომდინარე, დაუჯერებელია ქართული დიპლომატიის ტრიუმფი ევროატლანტიკურ სივრცისკენ ლტოლვის, ნატოში გაწევრების საქმეში შეტანილი წვლილისთვის. თუ ვინმეს დამსახურებაზეა ლაპარაკი — უპირველესად დასავლელ დიპლომატიაზე, ვინაიდან საქართველოს ჩათრევა ნატოსა და სხვა დასავლურ სტრუქტურებში სწორედ მათი დამსახურებაა და არა ჩვენი დიპლომატიის.**

დიპლომატიის შრომის ნაყოფი არ ჩანს ან თუ ჩანს, მხოლოდ მეორე პლანზე, პირველზე — პოლიტიკაა. დიპლომატია — საერთაშორისო არენაზე პოლიტიკისათვის შესაბამისი ფუნდამენტის ჩამყრელია. ფუნდამენტის ჩაყრას ცოდნა, გამოცდილება, ანალიზის უნარი სჭირდება, რომელსაც ვერც ოჯახში, ვერც ჩვეულებრივ სასწავლებელში და ვერც საზოგადოებაში ვერ ისწავლი. მას სპეციალური სასწავლებელი სჭირდება, ისეთი, როგორიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშია, თუნდაც ჩვენს მეზობელ რუსეთში ან დსთ-ს წევრ სახელმწიფოებში.

**პატარა სახელმწიფოებისთვის ყველაზე დიდი თავდაცვითი იარაღი დიპლომატიაა. სუსტი დიპლომატიით ფონს ვერც ერთი ქვეყანა ვერ გავა, მით უმეტეს — პატარა. ქართული დიპლომატია ჯერჯერობით ქუჩაში „იჭედება“, შემთხვევითი რევოლუციური ან ნათესავ-მეგობრული კადრებით.**

ცხადია, ვერც ერთი სპეციალური დიპლომატიური სასწავლებელი ჯადოს გავლენით ვერ იმოქმედებს მომავალ დიპლომატზე, მაგრამ იმას მაინც ასწავლის, რომ ფეხსაცმლის ზონარი წინდაში არ ჩაიტენოს, ჩაი, ყავა ან ნებისმიერი სასმელი და წვნიანი კერძი გამყრუებელი ხვრეპით არ მიირთვას, სუფრაზე მორთმეული თითების ჩასაბანი სითხე არ გადაჰკრას ან დაუკითხავად არ გააბოლოს, მოლაპარაკების დროს თავი შეიკავოს ჭიჭყინისგან და ისეთი პასუხი არ დაუბრუნოს შეკრებილ საზოგადოებას, როგორც დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩმა ბადრიძემ — ცოცხი თქვენ გაიკეთეთ უკანო.

დიპლომატიური ეთიკეტიდან უამრავი ნეგატიური მაგალითის მოყვანა შეიძლება, ისეთის, რასაც დიპლომატმა არ უნდა მიმართოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მიმართავს.

**დიპლომატი ქვეყნის სახეა. მისი მიხედვით აყალიბებს სტუმარ ქვეყანასთან ადგილსამყოფელი ქვეყნის ადამიანი ურთიერთობას. ოცწლიანი დამოუკიდებელი ციკლის შემდეგ მოურიდებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის დიპლომატია გაუმართავია, მას ბევრი რამ სჭირდება და, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო დიპლომატიური სასწავლებელი. თავიდან უნდა ამოვიღოთ საგარეო საქმეთა მინისტრის ერთი ყოფილი მოადგილის ნათქვამი — საქართველოს არ სჭირდება დიპლომატიური აკადემია, ვინაიდან ქართველები დაბადებით დიპლომატები არიანო. გავლილმა პერიოდმა დაგვანახა, რა დიპლომატებიც ვართ.**

უნდა ვიმედოვნოთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ეს საკითხი გადაიჭრება ისევე, როგორც საზღვარგარეთ არსებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დიპლომატთა როტაციის საკითხი.

დიპლომატთა როტაცია აუცილებელია დიპლომატიური კადრების ზრდის თვალსაზრისით. ყველა ქვეყანა მკაცრად იცავს როტაციას. იქ საზღვარგარეთ მუშაობის ვადა 3-4 წლით განისაზღვრება, რასაც საგარეო უწყებაში მუშაობის წლები ცვლის, შემდეგ ისევ მივლინება და ა.შ. საქართველოს დიპლომატიაში მიღებულია მიყოლებით უცხოეთში 10-15 წლით მუშაობა, რასაც წერტილი უნდა დაესვას.

**არანაკლებ მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნის საკითხი. დღემდე არსებული პრაქტიკით, საელჩოს გახსნა მხოლოდ ერთი კაცის — პრეზიდენტის ხუშტურზეა დამოკიდებული და არ ეფუძნება არავითარ გათვლას (ეკონომიკურს, პოლიტიკურს, ჰუმანიტარულს, ქართული დიასპორის ყოფნა-არყოფნას და სხვა). პატარა საქართველოს უამრავი საელჩო აქვს გახსნილი უცხოეთში, განსაკუთრებით ეგზოტიკურ ქვეყნებში, სადაც ჩვენი ინტერესი ნულის ტოლია.**

**თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ელჩის ხელფასი ხუთი ათასი და მეტი დოლარია და საელჩოში ელჩის გარდა სხვა დიპლომატიური და ტექნიკური პერსონალია, შესაბამისი მაღალი ანაზღაურებით, ქვეყნის მწირ ბიუჯეტს სალაღობო დიპლომატია ძვირი უჯდება.**

## ავთვისებიანი ხორცმეტი სასწრაფოდ უნდა ამოიძირკვოს,

### ანუ ვინ არის „დიპლომატი“ გივი ჯაფარიძე



ვიმედოვნებ, რომ ახალი ხელისუფლება ამ მანკიერ საქმესაც დაუსვამს წერტილს.

დიპლომატია ისეთივე კოჭლი იქნება, როგორც დღეს, თუ სერიოზულად არ განიხილება თითოეული ადამიანის დიპლომატიაში ჩართვის საკითხი. დიპლომატია არ უნდა იყოს ხელმოცარული ან შერისხული პოლიტიკოსის თავშესაფარი. დიპლომატიაში არ უნდა ხდებოდეს კონკურსის გზით შერჩევა. საკითხი დიპლომატიური სასწავლებლის, სამინისტროს კადრების დეპარტამენტის სამინისტროს აპარატის და საზღვარგარეთ არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობის მჭიდრო თანამშრომლობით უნდა გვარდებოდეს.

**2004 წლიდან მოყოლებული არაერთმა საგარეო საქმეთა მინისტრმა არაერთი კონკურსი ჩაატარა სამინისტროში მომუშავე დიპლომატებისთვის და დიპლომატიაში მუშაობის მსურველთათვის. ყველა კონკურსი იყო ზედაპირული და PR-ზე გათვლილი, ვინაიდან კონკურსის გვერდის ავლით, ზემოდან ზარით, არაერთი ადამიანი იყო მიღებული, თანაც ისეთი, რომლის წარსული ბიოგრაფია არა თუ დიპლომატიურ „სავანეს“, არამედ საპყრობილეს იმსახურებს.**

წყაროს მიხედვით, ერთ-ერთი და არა ერთადერთი ვინმე გივი ჯაფარიძეა, რომელიც ადრე ე.წ. „მოდულის“ შენობაში კონტრდაზვერვის დეპარტამენტის პასუხისმგებელი მუშაკი იყო და რომელმაც წარუშლელი დაღი დააჩნია საგარეო უწყების ყოფილ მუშაკს და მის ოჯახს (გვარს ამჯერად არ ვასახელებ, ვინაიდან მისი ცოლ-შვილი არჩევნების შემდეგაც შეშინებულიაძ.

**ყოფილი მუშაკის დანაშაული ის იყო, რომ ეპიზოდური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში აკრედიტებულ ზოგიერთ დიპლომატთან. ის 2006 წელს ქუჩაში აიყვანეს, როგორც რეციდივისტი. ოპერაციას ჯაფარიძე თავობდა, რომელმაც ჯიბეში ნარკოტიკიც ჩაუტენა. „მოდულის“ შენობაში ჯაფარიძის მიერ ჩატარებული დაკითხვა ცემით, შანტაჟით, დაშინებით დიდხანს გაგრძელდა. მსხვერპლს აძალებდა ეღიარებინა საქართველოს ღალატი, თუ არა, ბოთლზე დაჯდომა და მამათმავლების მიერ გაუპატიურება არ ასცდებოდა. „სიმონ კილაძეს ვაღიარებინეთ დანაშაული, შენ ვინ მიგდიხარო?“, — ცემის დროს ჩასძახოდა ჯაფარიძე. „სიმონ კილაძე დამნაშავე კი არ ყოფილა, საქმე მოითხოვდა ამას, ის პრეზიდენტის მითითებით დავიჭირეთო“,** — ბრძანებდა ჯაფარიძე.

ცნობისათვის — სიმონ კილაძე სახელმწიფო კანცელარიის წესიერი, პატიოსანი, განათლებული მუშაკი, სახელმწიფო ღალატისთვის იქნა გასამართლებული და გარკვეული პერიოდი ციხეში გაატარა.

ნაცთა ხუშტურს შეეწირა პოლიტოლოგი მაისაიაც, რომელიც დღესაც ციხეშია.

ჩვენი „მსხვერპლი“ მხოლოდ სასწაულმა გადაარჩინა, ანუ თვით მაღალი ნაცის სატელეფონო ზარმა, მაგრამ ვერ გადარჩა ფიზიკური თუ ფსიქიკური ზეწოლის შედეგად დაზიანებული ორგანიზმი.

საგარეო უწყების ყოფილი თანამშრომლის მიერ მოყოლილმა ისტორიამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ 1 ოქტომბრის არჩევნები ქვეყნის და თითოეული მისი მცხოვრების გადარჩენის არჩევნები იყო. ამ სისხლით მოპოვებულ გამარჯვებას განმტკიცება ესაჭიროება. ნაცები შორს არ წასულან, არც ჩირგვებში შემძვრალან, უტეხად ყელყელაობენ პარლამენტში — აღზევების ჟამის მოლოდინში. და მაშინ წამოჰყოფენ თავს საგარეო უწყებაში ან სხვა სამინისტროში მოკალათებული ჯალათები და ამუშავდება ქართველ ხალხზე გამოცდილი სადამსჯელო მანქანა — ცოცხის, ბოთლის, მამათმავლის, უმოწყალო ცემისა და წამების სახით.

ჩვენი „გმირი“ ჯაფარიძე საგარეო უწყების შიდა აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს. ძველ დროში „კგბ“-დ რომ მოიხსენიებდნენ, მაგრამ 21-ე საუკუნეში ნაცებმა „ჩანერგილს“ რომ სასიყვარულო სახელი აუდიტი მოუძებნეს. ეს ის სამსახურია, რომელიც შიშის ზარს სცემს დიპლომატიას, როგორც ქორი წიწილას. აუდიტის უფროსი სისტემატურად მონაწილეობს უცხოელებთან გამართულ მოლაპარაკებებში და ვინ იცის ეს ბრიყვი და გაუნათლებელი პიროვნება რა პატაკს აბარებს თავის ხელმძღვანელობას.

უნებლიედ იბადება კითხვა — რა აუცილებლობას წარმოადგენს ამ სახის სამსახურები სახელმწიფო დაწესებულებებში, მით უმეტეს დიპლომატიაში, სადაც ნდობის ფაქტორი საეჭვო არ უნდა იყოს, სადაც დიპლომატიაში ჩაუხედავი ბრიყვი ჯალათის შეხედულებით არ უნდა წყდებოდეს დიპლომატის ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი.

მისასალმებელია ახალი ხელისუფლების განცხადება კადრების შენარჩუნებასთან დაკავშირებით, მაგრამ კადრებიც არის და კადრებიც. სამინისტროს შენობაში მრავალწლიანი ყოფნა არ ნიშნავს დიპლომატიურ პროფესიონალიზმს. ეს უფრო პოლიტიკურად მორგებას ნიშნავს და მას დიპლომატიასთან არაფერი აკავშირებს.

ნაცთა დროს გადასხვაფერებული საგარეო უწყება დიპლომატიური პროფესიონალიზმით ვერ დაიკვეხნის, ხოლო ჯაფარიძის მსგავსი კადრები — უწყების ავთვისებიანი ხორცმეტია, რომელიც სასწრაფო ამოძირკვას საჭიროებს, რომ არ გავრცელდეს უწყებისთვის ავის მომტანი მეტასტაზები.

მჯერა, რომ ახალი მთავრობა, კერძოდ მინისტრი სამართლიანობისა და პროფესიონალიზმის საცერში გაატარებენ სამწყემსო სამსახურებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის გულწყრომა გაღვივდება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## ინფორმაცია

## ლუკა კურტანიძემ „სახალხო კრება“ დატოვა

**ამის შესახებ განცხადება ლუკა კურტანიძემ გუშინ საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა. „მივმართავ „სახალხო კრების“ ხელმძღვანელს ნონა გაფრინდაშვილს, მთავარ საბჭოს — რეზო ესაძეს, ელიზბარ ჯაველიძეს, გია ბურჯანაძეს, ირაკლი ბათიაშვილს, სოსო ჯაჭვლიანს და „სახალხო კრებაში“ შემავალ პოლიტიკური სუბიექტების ხელმძღვანელებს: განვლილი წლების განმავლობაში ერთად სიყვარულით მოვიარეთ მთელი საქართველო და სამაგალითოდ ვიბრძოლეთ ავადმყოფური რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის ხელმძღვანელი იყო**



**ვინმე მიხეილ სააკაშვილი, — განაცხადა ლუკა კურტანიძემ ბრიფინგზე. მისივე თქმით, იგი არის „ქართული ოცნების“ წევრი და აქედან გამომდინარე ტოვებს „სახალხო კრებას“, რადგან მიაჩია, რომ „სახალხო კრება“ ზეპოლიტიკური ორგანიზაციაა. მისივე თქმით, იგი იყო, არის და იქნება ბიძინა ივანიშვილის თანამებრძოლი და ახალი ხელისუფლების თანაგუნდელი. კურტანიძის განცხადებით, ყოველთვის პასუხიმგებლობით მიიღებს და გაიზიარებს იმ კრიტიკულ შენიშვნებს, რომელიც იქნება საზოგადოებიდან.**

ინტერპრესი

## ინტერნეტიდან

*ფეისბუქზე, შალვა რამიშვილმა ასეთი კომენტარი დადო: „ერთი რამ მინდა იცოდეთ მკაფიოდ!*
*თუ გვინდა ევროკავშირში შესვლა, მაშინ უნდა ვიყოთ ტოლერანტული ელგებეტე თემის წარმომადგენლებისადმი. გვინდა ეს თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს — ეს ასეა!!!*
*უნდა შევეგუოთ იმას, რომ უმცირესობებს ექნებათ გამოხატვის თავისუფლება, რომ ისინი მოაწყობენ მასობრივ შეკრებებს (რა თქმა უნდა ეს არ უნდა, იყოს ეკლესიებსა თუ სკოლებთან) ისინი გამოვლენ ტელევიზიით და ისაუბრებენ პრობლემებზე.*
*უნდა შევეგუოთ იმას, რომ მათი მოხსენიება ავადმყოფებად ან მით უარესი — კრიმინალებად იქნება არაკორექტული და ვერც ერთი საზოგადო მოღვაწე ან პოლიტიკოსი (გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს ევროპული განვითარება არ სურს) მსგავსი ლექსიკით ვერ ისაუბრებს.*
*მინდა, რომ ეს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გაისიგრძეგანოთ!*
*ევროპა ნიშნავს იმას, რაც ზევით აღვწერე.*
*არ გვინდა იქ? პრობლემა არაა... შევთანხმდეთ და სხვა მიმართულებით განვავითაროთ ქვეყანა.*
*მე პირადად ევროპა მინდა!“*
*ამ სტატუსს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. გთავაზობთ მათ აზრს სადღეისოდ აქტუალურ ამ თემაზე:*

# „თქვენი იყოს, წაიღეთ ევროპაც და პარიზიც, მე კი ისევ კრასნოდარში წავალ“

„ძალიან დიდი დრო სჭირდება საქართველოს და ქართველებს, რომ გაითავისოს ეგ! წინა სტატუსის კომენტარების მიხედვით ხალხს ჰგონია, თუ ერთსქესიან ქორწინებას არ დაუშვებს, საქართველო ევროკავშირში ვერ შევა. ამ ყველაფრის მერე რომელ ლგბტ-ს უფლებებზე და მათ მიმართ ტოლერანტობაზეა საუბარი?“

„ქვეყნები ევროკავშირიდან გამორბიან და ჩვენ რატომ მივისწრაფვით?“

„მით უმეტეს ამ ქალაქში, ნებისმიერ წერტილში რო დადგე, 2 კმ.-ს რადიუსში მინიმუმ 5 ეკლესია დგას...და დიდგორის ველზე გავიდნენ?“

„აი ეს ტონი მაგიჟებს რა — უნდა შევეგუოთ, რათა ვიყოთ ევროპა“!

„სახლში სქესობრივ კავშირებს ხომ არ უშლიან? პომპეზურობა, აგიტაცია და პროპაგანდა რად უნდა მაგ ამბავს? მანდ არასამთავრობოების გრანტების პრობლემა უფროა, ვიდრე ჰომოფობიის..“



„ისინი მოაწყობენ მასობრივ შეკრებებს.. ისინი გამოვლენ ტელევიზიით და ისაუბრებენ პრობლემებზე — მე ყოველთვის გავაპროტესტებ ამას!“

„არა, ამგვარი წვრილმანისთვის ევროპის დათმობა არ ღირს ნამდვილად. მაინცდამაინც ავანგარდში ნუ გავიქაჩებით ოღონდ“.

„მაინცდამაინც ეკლესიის წინ ანალური სექსით ნუ დაკავდებიან? მორწმუნე ხალხსაც გაუწიონ ანგარიში.. “

„მერე რა არის ამაში ცუდი, რომ ვიყოთ ტოლერანტულები? ეს არც მე, არც თქვენ და არც არავის არ მოუგონებია. საქართველო და მისი მოსახლეობა ისტორიულად ტოლერანტულები და შემწყნარებლები ვიყავით განსხვავებული რელიგიის და ერების მიმართ. მართალია სექსუალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებას ახალგაზრდა ისტორია აქვს, მაგრამ მგონი ყველამ უნდა გაცნობიეროს, რომ დედამიწაზე არსებობის უფლება ყველას აქვს, მას კაცი მოსწონს თუ ქალი. ეს არავის არ მოუგონებია და ვერც ვერავინ დაუშლის. ეს მათი არჩევანია და ამისთვის ევროკავშირი და დემოკრატია არაფერ შუაშია. ეს ყველა ადამიანში უნდა იჯდეს .....“

„და ყველაფერ ამისთვის აუცილებელია ერთსქესიანი ქორწინება დავუშვათ? რა აუცილებლობას წარმოადგენს შტამპი პასპორტში, იცხოვრონ ერთად, რაც უნდა აკეთონ. მაგრამ პირადად მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ ერთსქესიანი ქორწინების, მერე მოითხოვენ შვილის აყვანას და ამ ბავშვს ვინმე ეკითხება, უნდა თუ არა ასეთი ოჯახი, სადაც ვერ გაარკვევს, ვინ მამაა ან ვინ დედა? ამაზე ვინმემ იფიქრა?“

„ზუსტად ამის გამოა, ბატონო შალვა, რომ დღითი დღე მატულობს იმ ხალხის რაოდენობა, რომლებიც უკვე უარს ამბობენ ევროკავშირზე, ნატოზე და ა. შ. და მე მგონი დღეიდან მეც ვუერთდები მათ რიცხვს. ეს ისეთი საკითხია, რომელსაც შეიძლება უბრალოდ შეეწიროს ყველაფერი ის, რისთვისაც იბრძოდა საქართველო მთელი საუკუნეების მანძილზე. და ახლა გვეუბნებიან, რომ აი ეს არის ის, რისთვისაც თქვენ იბრძოდითო? აი, მიიღეთ მაშინ ცისფერების ქორწინების დაკანონებაო? სანამ საქართველო, როგორც სახელმწიფო, იარსებებს და სანამ მართლმადიდებლობა იქნება ქვეყნის რელიგია, ვერ ეღირსებიან ამ გარყვნილების დაკანონებას. და სულ არ აინტერესებს ხალხს კორექტულობა და ჰომოფობიის იარლიყი, ესეც მინდა რომ გაისიგრძეგანოს ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციამ. მაგრამ ერთი რამ მინდა კიდევ კითხვის სახით დავსვა: ხომ არ არის ეს მიზანმიმართული კამპანია ზუსტად იმისათვის, რომ საქართველომ უარი თქვას დასავლურ კურსზე?“

„ყველა ქვეყანაში, რომელიც ევროკავშირში შედის, დაშვებულია ერთსქესიანი ქორწინება?“

„ ვარ ტოლერანტული ამ ლგბტ თემის მიმართ, მაგრამ ნუ მივარდებიან რა... იყვნენ ეგენი თავისთვის. მე ჩემთვის. მე ვუვარდები მაგათ მართლმადიდებლობის ქადაგებით? და ნუ მიდის რა პედალირება ამ ლგბტ თემებზე, გეგონება, სახალხო დამცველს მარტო მაგათი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი“...

„ეკლესია უნდა ჩაერიოს აუცილებლად, ჩვენ გვინდა ევროპა, მაგრამ ევროპაზე ღირებული ჩვენი მომავალია, ამიტომ ეს თემა დასამალი კი არა, გამოსამზეურებელია და სერიოზული მსჯელობაა საჭირო, ბოლოს ისე არ მოხდეს, რომ ჩვენ აღმოვჩნდეთ უმცირესობაში.“

მოგვიწევს რაღაცების დათმობა, არსებობს საკმაოდ ჭკვიანური და უმტკივნეულო ბერკეტები და ჯობია, ამაზე ვიფიქროთ, ყველაზე მეტი ევროპელები ჩვენ ნუ ვიქნებით და ზედმეტი არ მოგვივიდეს, გამოვიყენოთ არსებული ყველა საშუალება საკუთარის დასაცავად, ჩემი აზრით, ეს არის საქმე კომპეტენტური ადამიანების ჩარევით, აქ იქნებიან კონფესიებიც, ჩვენი ეკლესიაც, და ყველა სივრცე, სხვანაირად ამოვვარდებით.“

„ზოოფილების და სერიული მკვლელების აღლუმი როდის არის დაგეგმილი?“

„93 პროცენტი არაა მომხრე გურჩიანის, ანუ გასაგები უნდა იყოს, რას ემხრობა ეს 93 პროცენტი და ხალხის მოთხოვნას მგონი ანგარიში უნდა გაეწიოს! ძაან ცუდ დღეში კია ბიძინა და ვნახოთ, როგორ გაუმკლავდება ამ პრობლემას! ეს იქნება დიდი გამოცდა!“

„ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია ჩვენი კრიტერიუმის შემუშავება.არავინ არავის არ თხოვს აუცილებლად დაუშვით გეიაღლუმებიო. მოვიქცეთ ისე, როგორც ნორმალურ სახელმწიფოს შეეფერება, ანუ ჰქონდეს თავისი სახე.“

საქართველოში „დაახლოებით 95 % წინააღმდეგია მსგავსი კურსით სიარულისა... არც მუსლიმებს, კათოლიკეებს, გრიგორიანებს, იუდეველებს და ასე შემდეგ არც ერთი კომფესიის წარმომადგენელი არ ემხრობა.. ქრისტიანებზე აღარ მაქვს საუბარი... ანუ რა გამოდის რომ, უნდა გავითვალისწინოთ 5 % ის აზრი და არ უნდა გავითვალისწინოთ 95% ის?“

„ლია მუხაშავრია ძაან მაგარ შარშია ამის მერე. არათუ სახალხო დამცველობა, მაგან მთელი თავისი მომავალი კარიერა დაალაქავა კი არადა, დაასამარა, ჩემი აზრით. ყოველ შემთხვევაში საქართველოში.“



„ბალტიისპირელები ლუდის, შპროტების, „qAF“ და „შპიდოლა“-ს წარმოებით შევიდნენ ევროკავშირში, ოხრად დარჩათ და თუ რაიმე სუბსიდიას გადმოუგდებენ სამათხოვროდ, იმის იმედადღა არიან. სხედან ახლა როგორც ებრაელები ბაბილონის კედელთან და მშივრები მისტირიან დაკარგულ „რუსულ-საბჭოთა“ ბაზარს. ჩვენ სადღა მივეკვეხებით, თანაც ამ პედერასტების ხარჯზე?! სოდომ-გომორში — თანაც მშივრები?.

თქვენი იყოს, წაიღეთ, ევროპაც და პარიზიც, მე კი ისევ კრასნოდარში წავალ“.

„ჩვენ არ უნდა ვარჩევდეთ უმცირესობას და უმრავლესობას, როცა საქმე ადამიანის უფლებებს ეხება, ყველა უნდა დავიცვათ, რადგან ყველა იხდის ამისთვის გადასახადს. თუმცა არის რაღაცები, რისი პროპაგანდაც არ შეიძლება. მაგ.;

ვიცავთ ნარკომანთა უფლებებს, ვცდილობთ დავეხმაროთ მათ, მაგრამ მათ პროპაგანდის უფლებას არ ვაძლევთ;

ვიცავთ მწეველთა უფლებებს, მაგრამ თამბაქოს ნაწარმის ტელე-რეკლამით პროპაგანდირება აკრძალულია;

ასევეა, უნდა დავიცვათ მათი უფლებებიც, მაგრამ ამის პროპაგანდის უფლება არ უნდა დავუშვათ“.

„გავკარი ევროპას, ჩემო შალვა, ქართველობას, კაცობას და ქალობას თუ წაგვართმევენ!“

**ნატა ნიბლაძე**

## ინფორმაცია

### ქდმ რიყის პარკში მშენებლობათა დემონტაჟის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებს

**თბილისის** საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრები რიყის პარკში საკონცერტო დარბაზისა და მუსიკალური თეატრის მშენებლობების შეჩერებისა და დემონტაჟის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ.

როგორც ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რიყის პარკში საკონცერტო დარბაზისა და მუსიკალური თეატრის შენობები ამახინჯებს ძველი თბილისის არქიტექტურულ იერსახეს, რასაც ადგილობრივ პროფესიონალებთან ერთად, საერთაშორისო ექსპერტებიც ადასტურებენ.



— სწორედ ამიტომ ამ და სხვა შენობების გამოც, თბილისი ვერ მოხვდა „იუნესკოს“ დაცული ქალაქების სიაში. ქალაქის მერს, გიგი უგულავას სჩვევია ამა თუ იმ პროექტის პრაქტიკაში გადმოტანა მოსახლეობის ხელმოწერების საშუალებით. „ქრისტიან-დემოკრატები“ ვაპირებთ ამავე გზით, ანუ მოსახლეობის ხელმოწერების შეგროვების მეშვეობით, ვაჩვენოთ მას, რომ თბილისელების დიდ ნაწილს არ მოსწონს და ეწინააღმდეგება აღნიშნული შენობა-ნაგებობების ქალაქის უმნიშვნელოვანეს ნაწილში განთავსებას, — აღნიშნა გაბუნიამ.

მისივე თქმით ხვალიდან დაიწყება საერთო სახალხო აქცია და მეტროსადგურ „რუსთაველისა“ და „ავლაბრის“ წინ დაიდგმება მაგიდები, სადაც მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, ხელმოწერებით დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია რიყის პარკში მიმდინარე მშენებლობების შეჩერებასთან და დემონტაჟთან დაკავშირებით.

ამასთან, გაბუნიას თქმით, ხელმოწერების შეგროვება იწარმოებს სოციალური ქსელების საშუალებითაც. ამასთან, ზაზა გაბუნია მოუწოდებს თბილისის მერიას, არ მიიღოს მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები თბილისის საკრებულოსთან შეთანხმების გარეშე. „ქრისტიან-დემოკრატები“ 15 000-მდე ხელმოწერის შეგროვებას აპირებენ.

### დასუფთავების საფასურის სახით, „თბილსერვის ჯგუფის“ ანგარიშზე, სავარაუდოდ, 80 მილიონი ლარი შევა

**დასუფთავების** საფასურის სახით, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ანგარიშზე 2012 წელს, სავარაუდოდ, 80 მილიონი ლარი იქნება მობილიზებული . ამის შესახებ „პიემსი კვლევითი ცენტრის“ ანგარიშშია ნათქვამი, რომლის პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა.

როგორც კვლევის ერთ-ერთი კონსულტანტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, ცენტრმა თბილისის 2011-2012 წლების ბიუჯეტის პროგრამის — „ქალაქის დასუფთავება და სანიტარიული წესრიგი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია“ მონიტორინგი განახორციელა.

ალაფიშვილი აღნიშნავს, რომ კვლევის ჩატარებისას ცენტრმა ოფიციალური წყაროებიდან ვერ მოიპოვა დასუფთავების და ნარჩენების უტილიზაციის კუთხით მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესახებ ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი მოთხოვნით მიმართეს თბილისის მერიას, საკრებულოს, „თელასს“, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისას და შპს „თბილსერვის ჯგუფ“, ალაფიშვილის განცხადებით, მათ სხვადასხვა მოტივით ამ ორგანიზაციებიდან ინფორმაცია ვერ მიიღეს, რის შემდეგაც, კვლევითი ჯგუფი იძულებული გახდა, რომ ესარგებლა ალტერნატიული ინფორმაციით და ექსპერტული შეფასებებით.

— ჩვენი გაანგარიშებით 2012 წელს „თბილსერვისჯგუფის“ ანგარიშზე მობილიზებული იქნება 80 მილიონი ლარი, რაც გაცილებით აღემატება ორგანიზაციის ხარჯებს. დასკვნის სახით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დასუფთავების მიმართულებით შემოსავალ-გასავალი არ არის დაბალანსებული. 2012 წელს შემოსავლებს და გადასახდელებს შორის, ჩვენი ვარაუდით 30-მილიონიანი დადებითი სხვაობაა, ან „თბილსერვის ჯგუფის“ შემოსავლები ხარჯებს 30 მილიონი ლარით გადააჭარბებს. ალბათ, ამით აიხსნება თბილისის ხელისუფლების მცდელობა, დამალოს ინფორმაცია დასუფთავების საფასურით მიღებული სახსრებისა და გაწეული ხარჯების შესახებ. ეს ასევე ბუნებრივად ბადებს ეჭვებს, ხომ არ ხდება ჭარბი შემოსავლების გამოყენება არამიზნობრივად, — ნათქვამია კვლევაში.

ინტერპრესი

## პასუხად „გამარჯვებულ“ უმცირესობას

**ეს კითხვა მაშინვე გამიჩნდა, როცა არჩევნებში დამარცხებულმა და მყისიერად გაოპოზიციონერებულმა ნაცმოელებმა საპარლამენტო უმრავლესობიდან უმცირესობაში დემოკრატიული ნორმების სრული დაცვით გადაინაცვლეს, მაგრამ მთელი 9 წლის მანძილზე ტრაბახსა და ბაქიბუქს მიჩვეულებმა თავი კვლავ დიდ ეროვნულ საქმეთა მკეთებლის როლში წარმოიდგინეს და იმის მაგივრად, რომ საკუთარი უმაქნისობისა და უსაქციელობის გამო შერცხვენოდათ და თავები ჩაექინდრათ, „ქართული ოცნების“ თავკაცებს აქეთ რისხვად დაატყდნენ. განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილს შეუტიეს — წელიწადნახევარში წასვლას რომ აპირებ, არაფერი გამოგივა, ამდენი დაპირება რომ მიეცი ხალხს, ვიდრე არ შეასრულებ, ფეხსაც ვერ მოიცვლიო. ჩვენ, ნაციონალური მოძრაობის ერთგული, ქვეყნის პატრიოტი შვილები, როგორც ყოველთვის, ახლაც გაასმაგებული ენერგიით დავიცავთ ტანჯული ქართველი ხალხის — უმუშევრების, სოციალურად გაჭირვებული, ლტოლვილი ადამიანების, ბიზნესმენთა ინტერესებს და მათ ტყუილუბრალოდ არავის დავაჩაგვრინებთო.**

აი ასე, მართალია, ნაცმოძრაობამ არჩევნები წააგო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იშვილებიდან ჩამოვარდა და ხალხში ავტორიტეტი სამუდამოდ დაკარგა. „ქართულ ოცნებას“, ვიდრე დაგვიანებული არ არის, ურჩევნია, ხალხში ოცი და ოცდაათლარიანი ვაუჩერები, ფერადი კანფეტებივით, ახლავე ჩამოარიგოს, გლეხებისთვის საგაზაფხულოდ თითო კანისტრა საწვავის ჩამოსხმაც არ დაავიწყდეს, თორემ მომავალ არჩევნებში რასაც მოიმკის, ყოველივე ამას მეორედ აღზევებულ მიშნაცებს ნუღარ დააბრალებს.

აღზევდებიან თუ არა მეორედ ნაცები და კვლავ მოგვევლინებიან თუ არა ხელისუფლებაში, ამის დასტურად და დასაკვალიანებლად, ვფიქრობ, ყველაზე უფრო მათ მიერ ნაკეთები საქმეები გამოდგება. მიშისტური მთავრობის უგუნურებასა და უუნარობას რა ვუთხარი, თორემ მას რომ თავის დროზე დანაპირები შეესრულებინა, წარმოება განევითარებინა, ადამიანები დაესაქმებინა, წაქცეული ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა ფეხზე წამოეყენებინა, ხალხის სამათხოვრო გროშებით (ვაუჩერებითძ დაპურება აღარ მოუწევდა. მაგრამ ეს არ ინება, მან საქმის კეთებას, წარმოებაში ოფლის ღვრასა და რეალური ეკონომიკის კეთებას, ფუქსავატობა, ტყუილებით ნაბერი პიარი და ბრექა-ტრაბახი ამჯობინა. ამიტომაც გაითქვა სახელი საქართველომ მთელ მსოფლიოში, როგორც შუქურა დემოკრატმა და რეფორმატორმა სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლებამაც შეძლო „სასწაული“ მოეხდინა — ეკონომიკა „აეყვავებინა“, ხოლო მოსახლეობა დაემშია.

ასეა, ნაცების მთავრობამ ვერ შექმნა ეკონომიკა (როგორც ვთქვი, ამას შრომა სჭირდებოდა და არა ტრაბახი), მაგრამ სამაგიეროდ შექმნა და განავითარა მონოპოლიზმი, რომელმაც გააღატაკა ქვეყანა და უზომოდ მოაჯირჯა მსხვილი ჩინოვნიკობა, რომელიც მიმდობად და გუნებიერად ჩაეხუტა მთავრობის ხელდასხმით წახალისებულ ასევე მსხვილ-მსხვილ მონოპოლისტებს. ასეთ ვითარებაში, რაღა თქმა უნდა, აღარავის ახსოვდა მცირე და საშუალო მეწარმეები, რომლებიც ბიზნესის სიიოლით მთელ მსოფლიოში გაბაქიბუქებულ საქართველოში მთლიანად შთანთქეს, ერთი მხრივ, მსხვილმა, ხელისუფლებასთან შეკრულ-გარიგებულმა მონოპოლისტებმა და, მეორე მხრივ, დრაკონულმა საგადასახადო ტარიფებმა, სისხლისმწოველმა ჯარიმებმა და სასამართლოებში გამოტანილმა საპროცესო გარიგებებმა, რომლის შემდეგ მეწარმეები, როგორც წესი, წელში ველარ იმართებოდნენ და წყვეტდნენ საბიზნესო საქმიანობას.

# უკაცრავად, მაგრამ თქვენ არ იყავით, ბატონებო, მონოპოლისტებს გუნებიერად რომ ეხუტებოდით?!



ამას რომ ვამბობ, ვიცი ჩვენი პატივმოყვარე, მამულიშვილური გრძნობებით დამძიმებული ნაცუმცირესობა გამინაწყენდება და მომთხოვს, იქნებ მაგ კორუმპირებულ-მონოპოლისტთაგან ერთი მათგანი მაინც დაგვისახელოთო. ყველას სად გავწვდები (მით უფრო, რომ ზოგმა უკვე საზღვარგარეთ შეაფარა თავიძ, მაგრამ, ალბათ, იმის დავიწყებასაც ვერ შევძლებ, ქვეყნის პარლამენტში ანგარიშით მისული მიხეილ სააკაშვილი დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ რა სიმწრის ოფლში აცურავა, როცა ის კორუფციის სათავეში პირველ კაცად მოიხსენია. ისიც კარგად მახსოვს, ქვეყნის პრეზიდენტმა მაშინ ამ ბრალდების გასაქარწყლებლად ფაქტობრივად ვერაფერი მოიყვანა და მდგომარეობის განმუხტვა დარბაზიდან გაქცევით „მოახერხა“.

ისე, ვითომ თქმოდა კი რამე ჩვენს „მალალოს?“ მთელმა მსოფლიომ იცის, ერთეული დიქტატორების გარდა, არც ერთ პრეზიდენტს არ უცხოვრია ისეთი ფუფუნებით, როგორითაც ცხოვრობს ულატაკესი ქვეყნის პრეზიდენტი სააკაშვილი, არავის ჰქონია მისნაირი ძვირფასი სასახლე, არავის უყიდია საპრეზიდენტო „ბოინგი“, რომლის ფასიც ასეულობით მილიონი დოლარია, არავის აღმოსჩენია ბიზნესის კეთების ისეთი „უნიკალური ნიჭი“, როგორიც სააკაშვილის ნათესავებსა და ოჯახის წევრებს. ამ ნიჭის წყალობით, ბაღათურიას თქმით, პრეზიდენტის დედამ შეძლო დაესაკუთრებინა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი და უამრავი უძრავი ქონება, ძმას — ნავთობკომპანია და სადაზღვევო სააგენტო, ბიძას — ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი საწარმო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

**მიხეილ სააკაშვილმა შექმნა ერთპიროვნული მართვის რეჟიმი, რომლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და შემოსავლიანი „დარგია“ ელიტარული კორუფცია, რომელსაც ხორცპროდუქტების, მედიკამენტების ბაზართან და სხვა სფეროებთან ერთად, მონოპოლიზებული აქვს ნავთობპროდუქტების ბიზნესიც. მაგარი ბიჭი ხარ და აბა, გაბედე საწვავის საზღვარგარეთიდან შემოტანა! უცხოსათვის აზერბაიჯანის გზაც გადაკეტილია და ფოთის ტერმინალიც. აქ ყველას და ყველაფერს განაგებდა სახელისუფლებო ელიტა, რომელიც საწვავზე სპეკულაციური ფასების წყალობით (ზოგჯერ სხვაობა რეალურსა და გასაყიდ ფასს შორის 30-35 თეთრსა და მეტსაც აღწევდა) ყოველწლიურად დაახლოებით 300 მილიონ ლარს იჯიბავდა.**

აღარაფერს ვამბობ ფარმაცევტულ ბაზარსა (მასზე უამრავჯერ დაგვიწერიაძ და ხორცით ვაჭრობის სფეროზე, რომელიც შარშანდელ აქეთ უკვე ელიტარულმა კორუფციამ და გუბერნატორ ჩიჩილის მონოპოლიურმა ნიჭმა ძირაძირამდე დაიპყრა. შეიძლება გულუბრყვილო კითხვა გაგიჩნდეს, რატომ აუკრძალეს ყველა სხვას, ვისაც ნატახტრის სასაკლაოში პირუტყვი არ დაუკლავს, დედაქალაქის ბაზრებსა და მაღაზიებში ხორცის შეტანა, მაგრამ ბაზარში რომ შეხვალ და კილოგრამში ადრინდელი 12-ის ნაცვლად 17 ლარის გადახდა მოგიწევს, უმალ მიხვდები, რომ ჯიბეში მონოპოლისტმა ჩაგიყო ხელი და გაჭირვებით ნაშოვნი უკანასკნელი გროშები ამოგაცალა.

**და ვინ არიან ამ ყველაფრის მადლცხებული შემქმნელნი, არ იკითხავთ? რაღა თქმა უნდა, ჩვენი გუშინდელი კორუმპირებული მთავრობის მაღალჩინოსნები და დღევანდელი საპარლამენტო უმცირესობის ნამუსშეულახავი კანონმთხზველნი, რომელთაც თავის დროზე ლამის თავები გაიგიჟეს (ვითომ აკლდეთ სიგიჟე), ვიდრე ანტიმონოპოლიურ სამსახურს გააუქმებდნენ. მაშინდელი საქართველოს „ეკონომიკის მამად“ კურთხეულ ბენდუქიძეს საამისო საბაბიც გააჩნდა, — მაგ სამსახურის მუშაკები მექრთამეობით გაირყვნებიანო, — განაცხადა არაორაზროვნად და ქვეყანა რომ არ დაზარალებულიყო, გაუქმებული მუშაკების ფუნქცია (მექრთამეობა) თავად შეითავსა(!).**

ასე იარა საქართველომ ქვეყნის „აღმაშენებელ“ სააკაშვილთან ერთად, „მამამთე“ ბენდუქიძის მინისტრობის პერიოდში და მისი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც, ვიდრე ქვეყანაში ხალხის არჩეული ხელისუფლება არ მოვიდა და კორუმპირებული ნაცები პოლიტიკურ მოუსავლეთში არ გააგზავნა. დამარცხებული ნაცმოძრაობის ერთი ნაწილი, რომელიც საპარლამენტო უმცირესობაში „გამაგრდა“, თავდაცვის იერიშზე გადასვლას ამჯობინებს, ჰგონია, რომ „მეოცნებეთა“ ლანძღვითა და დისკრედიტაციით, ერთხელ უკვე აპრობირებული პიარტექნოლოგიითა და დემაგოგიით მოპოვებულ ყალბ დიდებასა და ცრურეიტინგს კვლავ დაიბრუნებს.

ნურას უკაცრავად (სააკაშვილის საყვარელი გამოთქმააძ, როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, სიცრუესა და დემაგოგიას საქართველოში [illegible] გასაღების ბაზარი საგულდაგულოდ დაეგმანა. სამომავლოდ ქვეყანაში ნაცების მიერ დამკვიდრებულ უსამართლობას შეცვლის სამართალი, მონოპოლიზმს — ჯანსაღი კონკურენცია. სულ მალე ქვეყანაში შეიქმნება და ამოქმედდება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, აწი ბიზნესს ჯიბეში ხელს ვეღარავინ ჩაუყოფს.

**ოთარ ხუციშვილი**

## პოზიცია

# გუშინ, დღეს და წელიწადნახევრის შემდეგ

**ბოროტსა სძლია კეთილმან... — გენიალური რუსთაველის ეს საოცარი ფრაზა არასოდეს ასე მეტყველი და კონკრეტული არ ყოფილა, ალბათ, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიული არჩევნების შემდეგ. ღვინობისთვის ამ დღის მერე ქართველობამ მეტ-ნაკლებად დაიბრუნა სახე, ღირსება, სიყვარული, პრინციპები და ადამიანურობა. ქართველმა ზორომ — ბიძინა ივანიშვილმა უიარაღოდ, ფაქტობრივად შიშველი ხელებით (მას თავისი ფინანსების გამოყენების საშუალებაც კი არ მისცესძ შეძლო ბოროტი მონსტრის დამარცხება, რომელსაც მხარს უჭერდნენ მსოფლიო გლობალისტური ძალები.**

**მისმა გონიერებამ, ზომიერებამ, გამბედაობამ, პატიოსნებამ, წინდახედულებამ, კარგმა მენეჯერობამ და სიმართლემ შედეგი გამოიღო. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მილიარდერები არ უყვართ, რადგან ზემოდან უყურებენ ყველას და საეჭვო გზებით მდიდრდებიან. იშვიათია მილიარდერი და თანაც პატრიოტი. ივანიშვილი ყველა ამ კონტექსტიდან ამოვარდნილია — ის არის მილიარდერი, რომელიც უყვართ და თანაც საოცარი პატრიოტიცაა, საქმიანი პატრიოტი. სწორედ მან ახსნა ნაციონალების მიერ გაკეთებული ჯადო ქვეყანას და დარწმუნებული ვარ, სამჯერ მეტს გააკეთებს, თანაც სამართლიანობის ვითარებაში, ვიდრე ეს ნაციონალებმა „მოახერხეს“ (ცხადია, ახალი ვალების აღებით, რომელმაც 11 მილიარდს მიაღწიაძ.**

**როცა წყარო სათავეშივე სუფთაა, მერეც ასე მიედინება. ივანიშვილის წარმატების საფუძველი, ნიჭიერებასთან ერთად, უთუოდ მისი სოფელში, პატიოსან გლეხურ ოჯახში, ქართული და მშრომელი სულისკვეთებით აღზრდა, მიწის და უბრალო ხალხის სიყვარულია, რომელიც მან ასე უხვად გამოამჟღავნა საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში და ამჟღავნებს ახლაც.**

**მე ასე მჯერა, რომ ადამიანს სიცოცხლეშივე უნდა მიაგო ისეთი პატივი, რასაც უთუოდ იმსახურებს. ქართველი ერი სამუდამოდ მადლიერი იქნება მისი. მის მიერ ნაციონალური მოძრაობის დამარცხება საოცრად მაგონებს წმინდა გიორგის გამარჯვებას გველეშაპზე.**

**ერთი რამ მაფიქრებს მხოლოდ: წელიწადნახევარში მისი პრემიერობიდან წასვლა უთუოდ დააზარალებს ქართულ სახელმწიფოს, რომელიც რეალურად ახლა იწყებს ფეხზე დადგომას. ამ ხნის განმავლობაში დაქცეული ქვეყნის ფეხზე დაყენება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება. ამასთან, დასამალი არაა და არავის ეწყინოს, რომ ხალხმა ივანიშვილს მისცა ხმა და არა კოალიციის ცალკეულ სუბიექტებს. ეს იგივეა, რომ დიდგორის მერე დავით აღმაშენებელი მეფობიდან გადამდგარიყო და „თბილისი“ აღარ აეღო. მინდა, შევახსენო ბატონ ბიძინას, რომ მართალია, დიდგორი მოვიგეთ, მაგრამ თბილისი ჯერ ისევ ასაღებია. ახალგაზრდა თანაგუნდელები, ნიჭიერების და ენერგიულობის მიუხედავად, უთქვენოდ „თბილისის“ აღებას ვერ შეძლებენ და ქვეყანაში შეიძლება ანარქიული პროცესები დაიწყოს. ამასთან დასალაგებელია ურთიერთობა რუსეთთან, რაც 1,5 წელიწადში ვერ მოხერხდება, ისევე როგორც ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის აღორძინება, განათლების და ჯანდაცვის რეფორმირება. ამიტომ მადლს მარილიც მოაყარეთ და მინიმუმ 4 წელი (ჯობია 8 წელიძ ქვეყანას უხელმძღვანელეთ. ასეთია ქართველი ერის ნება და თქვენდამი მოთხოვნა. წასვლა მაშინაა კარგი, როცა ის დროულია. უდროო წასვლამ შეიძლება ქვეყანაც დააზიანოს და თქვენი ამოდენა ღვაწლი და ამაგი ქართველობის წინაშე, თქვენი საოცარი იმიჯი მთლიანად დაამსხვრიოს. ეს დაემსგავსება ხალხის გაჭირვებაში, ბედის ანაბარად მიტოვებას და ამას არავინ მოგიწონებთ და გაპატიებთ.**

**მართალია, ლომის წილი ამ გამარჯვებაში ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის, მაგრამ უნდა აღინიშნოს იმ ადამიანების წვლილიც, რომლებიც ქმნიდნენ პროგრამებს, უშუალოდ მონაწილეობდნენ საარჩევნო ბატალიებში და ორგანიზაციულ საქმეებში — მათი უმრავლესობა წესიერი პროფესიონალები არიან და უნდა იქნან მიწვეული სხვადასხვა სტრუქტურებში.**

**ძალზე მნიშვნელოვანია ასევე მედიის წვლილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია „მაესტროს“, მე-9 არხის, კავკასიის, რეგიონული მედიის მიერ პროცესების ძირითადად ობიექტურად გაშუქება. ინტერნეტ-საიტებს შორის გამოვყოფდი for.ge (ყოფილი presage.tvძ. ყველას აქ ვერ ჩამოვთვლი. მათ დიდი როლი შეასრულეს სააკაშვილის რეჟიმის მხილებაში და ადამიანებამდე მართალი სიტყვის მიტანაში.**

**ყველა ამ ადამიანის და ჯგუფის წვლილმა სათანადო შედეგი გამოიღო. ნაციონალურმა მოძრაობამ მარცხი განიცადა. დღეს უკვე სირცხვილად ითვლება ნაციონალური მოძრაობის წევრობა. პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ ეს პარტია დაიშლება და მას ყველა განერიდება. ბოკერია და ძმანი მისნი ახალ პარტიებს შექმნიან (თუ მანამდე სასამართლომ მათ ვირის აბანოში არ უკრა თავიძ, თუმცა მათ არავითარი პერსპექტივა აღარ ექნებათ. ასეთი ბედი მოელის ყველა პარტიას, რომლებშიც შექმნილია არა იდეის ან იდეოლოგიის, არამედ მერკანტილური მოსაზრების გამო, ერთი კაცის გარშემო და რომლებსაც არ გააჩნიათ საყრდენი სოციალური ბაზა. დიდი პერსპექტივა არ ექნებათ იმ პარტიებსაც, რომლებიც იმართებიან უცხოეთიდან (აშშ, რუსეთი, ევროპაძ. ქართველი ხალხის რეალურ ინტერესს ამიერიდან ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს.**

**ვაჟა შუბითიძე**

№212. შაბათი, 3 ნოემბერი, 2012 წელი.

# 90 პატრიარქმა მას



ა ტიტულებს აღარ ჩამოვთვლი. მარიკა მარია-
მ აგვისტოსაა დაბადებული და მისი ყველა სიკეთე აქედან მოდის. მარიკა მარტო დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე არ არის, არამედ მე პირადად მისი ადამიანურ თვისებებში მეგობრებთან დამოკიდებულება, ადამიანებთან ურთიერთობა, მათთვის სიკეთის მოტანის სურვილი უფრო მეტად მიზიდავს.

მე და მარიკა რვა ათწლეულზე მეტია, ერთად მოვდივართ, ერთად განვვლეთ ცხოვრების გრძელი გზა. ჩვენს ურთიერთობას კი სკოლის დაწყებითი კლასებიდან ეყრება საფუძველი. 1930 წლის 1 სექტემბერს 25-ე შრომის სკოლის 2[1] კლასში ჩვენმა დამრიგებელმა მასწავლებელმა ნინო მიქელაძემ (დავით მეველეს ქალიშვილიძ შემოიყვანა გამხდარი გოგონა. პირველად მას ცოტა ალმაცერად შევხვდით, მაგრამ სულ მალე იგი ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე გახდა და ასეთად დარჩა სკოლის დამთავრებამდე. ჩვენ მეგობრობას, სიახლოვეს ის აძლიერებდა, რომ ერთი სულისკვეთების, ერთი მსოფლმხედველობის ვიყავით და კარგად ვგრძნობდით, თუ რა ქვეყანაში გვიწევდა ცხოვრება.

სკოლის წლებში ჩვენი შეკრების ძირითადი ადგილი მარიკას ოჯახი იყო, სადაც დიდი სითბოთი გვხვდებოდნენ მარიკას დიდებული მშობლები, შესანიშნავი ქალბატონი დეიდა ნინო და ბრწყინვალე პიროვნება – ძია დავითი, რომელიც ვერ შეეგუა ახალ წყობას, კომუნისტური ცხოვრების წესს და მისი სიცოცხლე საშინელმა წლებმა იმსხვერპლა.

სკოლა, უნივერსიტეტი, ასპირანტურა, შემდეგ ისევ უნივერსიტეტი ცხოვრების ეს გრძელი გზა ერთად გავიარეთ. მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენი დამოკიდებულება ისევ ისეთი იყო, როგორიც ჯერ კიდევ ბავშვობაში, სკოლის წლებში ჩაისახა. მარიკა ყოველთვის ჩვენი მეგობრობის ბურჯი იყო. მას არასოდეს ავიწყდებოდა თავისი მეგობარი არც სიკეთის და არც უბედურების ჟამს. და განა მარტო მახლობლებისათვის გაუწოდებია მას დახმარების ხელი. მარიკას ყოვლად უშიშრად, როდესაც ეს არც თუ ისე უსაფრთხო იყო, არაერთგზის სიტყვიერად თუ წერილობით გამოუთქვამს თავისი აზრი სხვის დასაცავად.

წლებს მაინც თავისი მიაქვს. მარიკას და მე ამ ბოლოს ავადმყოფობა შემოგვეჩვია, ფეხებმა გვიმტყუნა. ვუსურვებ მარიკას გამოჯანმრთელებას, კარგად ყოფნას; მას ჯერ კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია თავის საყვარელი ქვეყნისათვის. იმედია, მარიკა კიდევ იტყვის თავის სიტყვას ჩვენში ამჟამად მიმდინარე მოვლენებზე, ახლა საქართველო განვითარების ახალ, დემოკრატიულ გზას დაადგა და მარიკას ყოველი სიტყვა ჩვენს წარსულზე და აწმყოზე უფრო მეტად ფასეული იქნება.

**ოთარ ჯაფარიძე**

## მისი ავტორიტეტული სიტყვა დღეს განსაკუთრებით სჭირდება ჩვენს ქვეყანას

**მარიკა ლორთქიფანიძე გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი, მაღალი ღირსების საზოგადო მოღვაწე და ღვაწლმოსილი პედაგოგია. იგი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრია.**

90 წლის მარიამ ლორთქიფანიძეს შეუძლია იამაყოს თავისი ღირსებით, განვლილი გზით, შემოქმედებითი საქმიანობითა და საზოგადოებრივი ცხოვრებით. მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორისაა რამდენიმე მონოგრაფია, სამეცნიერო სტატიები. ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მედიევისტიკის განვითარებაში, შუქი მოჰფინეს ბევრ, მანამდე გადაუჭრელ პრობლემას. ქალბატონი მარიკა გულმხურვალედ და შემართებით ეხმაურება საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, პირნათლად იხდის პატრიოტი მეცნიერის ვალს სამშობლო ქვეყნის წინაშე.

ორი წლის წინათ სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ მარიამ ლორთქიფანიძე ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი – წმიდა გიორგის მედლით დააჯილდოვა. უწმინდესმა საქართველოს დედა უწოდა მას. ეს ყველაზე მაღალი და ნათელი შეფასებაა ქალბატონი მარიკას დიდი მეცნიერული და მოქალაქეობრივი ამაგისა.

90 წლის მარიამ ლორთქიფანიძის ავტორიტეტული სიტყვა, მისი თანადგომა, მისი შემართება დღეს განსაკუთრებით სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

ქალბატონი მარიკა დიდი ტრადიციული ქართული ოჯახის დედაა – ჰყავს სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და რვა შვილთაშვილი. ეს დიდი ბედნიერებაა.

მარიამ ლორთქიფანიძე ბედნიერია თავისი ძმით – გიგა ლორთქიფანიძით. გამოჩენილმა ქართველმა ხელოვანმა, თეატრისა და კინოს რეჟისორმა, ქვეყნის ბედზე მოფიქრალმა გიგა ლორთქიფანიძემ წარუშლელი კვალი გაავლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. და-ძმა თანამოაზრენი არიან – მტკიცედ გამოხატავენ თავის ეროვნულ პოზიციას.

წარმატებებს, ჯანმრთელობასა და მრავალჟამიერ სიცოცხლეს ვუსურვებ მარიამ ლორთქიფანიძეს.

**როინ მეტრეველი**

## სიტყვა მეგობარზე

**გამოჩენილ ისტორიკოსს, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მან თავის საყვარელ ქვეყანას ბევრი სიკეთე მოუტანა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ მას „საქართველოს დედა" უწოდა.**

## მარად ჩაუქრობელი ქართული სულის მესაიდუმლე

**პატივი მაქვს, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების სახელით გულითადად მოგესალმოთ თქვენ, მრავალი წლის მანძილზე ამ საზოგადოების ერთგულ წევრსა და ქომაგს, მრავალჭირგამოვლილ, მაგრამ ჩაუქრობელი ქართული სულის მესაიდუმლეს, თქვენი დიდი წინამორბედი მოღვაწეების კვალდაკვალ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სიწმინდის ღირსეულ დამცველს, ქართველთა უკეთესი აწმყოსა და მომავლისათვის შეუპოვარ მებრძოლს, შესანიშნავი ოჯახის დედაბოძს, ქართველებისა და არამხოლოდ ქართველების სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით გამორჩეულს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II მიერ ქართველთა დედად აღიარებულს, მოგილოცავთ სახელოვან საიუბილეო თარიღს – მარიამობის 90-ე დღესასწაულს.**

1951 წელს, როდესაც მე და ჩემი მეგობრები პირმშვენიერმა და ახალგაზრდა ლექტორმა მღელვარე ფაქტებითა და მოვლენებით აღსავსე მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სამყაროს გვაზიარეთ, ვერც ვიოცნებებდი, რომ ექვსიოდე წლის შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში თქვენს გარემოცვაში აღმოვჩნდებოდი; ბედნიერება მექნებოდა ხშირად მეხილეთ, გავცნობოდი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის კარდინალური პრობლემებისადმი მიძღვნილ თქვენს ნაშრომებს, თქვენი ბრწყინვალე საჯარო გამოსვლები მომესმინა და ბოლო 50 წლის მანძილზე თქვენთან კეთილი ურთიერთობებით გამეხარა.

ქალბატონო მარიამ, თქვენ მრავალი თაობისათვის პროფესიონალიზმის, ერისა და ქვეყნის მსახურების, ერთგული მეგობრობის, ადამიანის სიყვარულისა და თანადგომის მისაბაძი მაგალითი ბრძანდებით.

დღეგრძელობას, მზეგრძელობას და თქვენთვის ჩვეულ შემართებას გისურვებთ. გაიხარეთ და თქვენი არსებობით ჩვენც გაგვახარეთ.

**ნანა ხაზარაძე**

## ქართული ისტორიოგრაფიის მშვენება

**აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე ისტორიკოსთა იმ რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მრავალსაუკუნოვანი ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებაში. უკვე მრავალი ათეული წელია ის ღირსეულად წარმოაჩენს ქართულ ისტორიულ სკოლას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მარიამ ლორთქიფანიძის ფუნდამენტური გამოკვლევები ფართოდაა ცნობილი სპეციალისტებისათვის. დიდია მისი ღვაწლი ქართული საისტორიო წყაროების გამოკვლევასა და პოპულარიზაციაში, განსაკუთრებით „ქართლის ცხოვრების" შესწავლასა და მის უცხო ენაზე გამოცემაში. მარიამ ლორთქიფანიძის შრომებზე არაერთი თაობა აღიზარდა და კვლავაც აღიზრდება.**

ბედნიერი ვარ, რომ მქონდა პატივი ქალბატონი მარიამი ყოფილიყო ჩემი პედაგოგი. მისი ხელმძღვანელობით გავიარე „ქართლის ცხოვრების" სპეცკურსი ასპირანტურაში. ჩემს მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა ყურადღებიანი და კეთილმოსურნე პროფესორის სახე, რომელიც პატივისცემით ეკიდებოდა ახალგაზრდა ოპონენტთა მოსაზრებებს, გვინერგავდა მეცნიერული პასუხისმგებლობის განცდასა და საქმისადმი სიყვარულს. პირადი მაგალითით გვასწავლიდა საკუთარი დებულებებისა თუ თვალთახედვის დასაბუთებას.

მარიამ ლორთქიფანიძე დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების პროცესს. ის აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო დისკურსში აფხაზ კოლეგებთან აფხაზეთის ისტორიის კარდინალურ პრობლემებზე. მისმა შეუვალმა და არგუმენტირებულმა პოზიციამ შესაძლებელი გახადა ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების პროცესების მართებულად გაშუქება. ის აფხაზ კოლეგებთან ერთად მონაწილეობდა აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევების, უმაღლესი სკოლისათვის აფხაზეთის ისტორიის პირველი სახელმძღვანელოს მომზადება-განხილვაში. მარიამ ლორთქიფანიძემ მიმდინარე წელს გამოსცა ნარკვევი „აფხაზები და აფხაზეთი" (მეორე გამოცემაძ, რომელიც წარმოადგენს აფხაზეთის ისტორიის საკითხების ახლებურად გააზრების საინტერესო მცდელობას.

მარიამ ლორთქიფანიძე თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ პოლიტიკურ პროცესებში, სადაც ყველა დონეზე მტკიცედ იცავდა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. ასეთმა მოქალაქეობრივმა პოზიციამ მას დიდი ავტორიტეტი და სიყვარული მოუტანა საზოგადოების ფართო ფენებში. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მთელი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს ქვეყანას.

**ოთარ ჟორდანია**

## მიიღეთ ჩვენი უღრმესი პატივისცემა

**ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის კავკასიური კვლევის სემინარი და ვარშავის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია გულწრფელად ულოცავს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს მარიამ ლორთქიფანიძეს დაბადებიდან 90 წლისთავს.**

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე არის გამოჩენილი მკვლევარი იმ ქართველ მეცნიერთა შორის, რომლებმაც თავიანთი მეცნიერული საქმიანობის უმთავრეს ამოცანად დაისახეს ქართული მედიევისტიკის შესწავლა და გამოცემა. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად მარიამ ლორთქიფანიძე ეწევა თვალსაჩინო საზოგადოებრივ საქმიანობასაც, არის არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის წევრი. მისი შრომები არის სიმბოლო იმისა, რაც საუკეთესოა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

დღევანდელი ღონისძიება მიძღვნილი მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი წარმოაჩენს მის დამსახურებას საისტორიო მეცნიერების კვლევის საქმეში.

გთხოვთ მიიღოთ ქალბატონო მარიამ ჩვენი უღრმესი პატივისცემა თქვენდამი.

**დავით ყოლბაია, ჰენრიკ პაპროცკი**

## დიდხანს იცოცხლეთ ქვეყნის საკეთილდღეოდ

**ქალბატონო მარიამ, თქვენ ქართული ისტორიის მეცნიერების ერთ-ერთ კლასიკოსს, მრავალწლიანმა ძალისხმევამ ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში მოგიპოვათ**

# საქართველოს დედა უწოდა

**დიდი პოპულარობა არა მარტო ისტორიულ წრეებში, არამედ ფართო საზოგადოებაშიც. ეს ძალისხმევა არ იყო ადვილად განსახორციელებელი. თქვენი შემოქმედებითი გზა დატვირთული იყო მრავალი სიძნელით. რა ბედ-იღბალიც ჰქონდა საქართველოს, მის ისტორიას, იგივე განიცადეთ თქვენ.**

თქვენი კვლევები სამუდამოდ დარჩება, როგორც მიზანმიმართული, თავაუღებელი, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი. თქვენი ცოდნის სიღრმით, ცოცხალი სიტყვით, ქვეყნის დახმარებისათვის მუდმივი მზადყოფნით, მებრძოლი სულით, სიმართლის ძიებით პატივისცემა დაიმსახურეთ არა მარტო მათ შორის ვისაც პირადი ურთიერთობა ჰქონდა თქვენთან, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობას, ერსა და ბერს შორის.

თქვენ ხართ საუკეთესო მაგალითი თანამედროვე ჰარმონიული ადამიანისა, რომელსაც თავის სიცოცხლის მანძილზე, არ დაუტოვებია არცერთი საჭირბოროტო საკითხი არა მარტო სამეცნიერო, არამედ საზოგადოც, ყურადღების გარეშე. ყოველთვის სამართლიანად ეხმაურებით ქვეყანას და უფრო მეტიც ებრძვით საზოგადოებისთვის მიუღებელ პრობლემებს. შემართული ბრძოლა ადამიანთა კეთილდღეობისთვის, სახელმწიფოსა თქვენი და საქართველოს ღირებულებების გადარჩენისთვის, მუდამ არის უკომპრომისო და პირდაპირი.

პირადი თვისებები, ზომიერი დიპლომატია, მაღალი ინტელექტი, ადამიანთან ურთიერთობის თქვენებური უნარი – უშუალობის ასეთი გამოვლინება, მრავალთათვის მისაბაძია.

თქვენი სამეცნიერო დამსახურება, წვლილი შეტანილი ქართული მეცნიერების განვითარებაში უდიდესია. მრავალი სტატია, მონოგრაფია სათანადოდ იქნა შეფასებული სახელმწიფოს, სხვადასხვა ფონდების, საზოგადოებებისა და საპატრიარქოს მიერ. თქვენი წვლილი ქვეყნის ღირებულებებისათვის ბრძოლის საქმეში ასევე სათანადოდ არის დაფასებული. ხალხის სიყვარული, რომელიც თქვენ დაიმსახურეთ – სწორედ ამის დადასტურებაა.

დიდია თქვენი წვლილი ახალგაზრდობის არა მარტო მეცნიერულ, არამედ სულიერ აღზრდაშიც. ამის მაგალითად მინდა გავიხსენო, 28 აგვისტოს, მარიამობას, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ცნობა თქვენი დაბადების დღის შესახებ. ერთ დღეში თქვენ მოგილოცათ 2027 ადამიანმა. ეს შესაშური წარმატებაა, რადგანაც არ მეგულება არც კინო ან ტელევარსკვლავი, არც სპორტსმენი, არც მეცნიერი, რომელიც ასე მოკლე დროში მოაგროვებდა ამდენ ხმას. ეს მართლაც შესაშურია კიდევ იმიტომაც, რომ ამ სოციალურ ქსელში უმრავლესად ახალგაზრდობაა ჩართული.

ქალბატონო მარიამ!

გილოცავთ!

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

**ლია მელიქიშვილი**

## თქვენ ყველა ჩვენგანს სჭირდებით

**ქართველი ხალხი თავის რჩეულს მხოლოდ სახელით მოიხსენიებს. ასეა ქალბატონ მარიკასთან დაკავშირებითაც. როდესაც განსაკუთრებული პატივისცემით ვახსენებთ ამ სახელს, ყველასთვის ცხადი ხდება, რომ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ მარიამ ლორთქიფანიძეზე, ჩვენი ერის გამორჩეულ შვილზე. ბუნებრივია, საზოგადოების ამგვარი დამოკიდებულება შენდამი, ეტყობა, სასიამოვნოა, მაგრამ ერთდროულად, ეს დიდი ტვირთიცაა. ტვირთი შენი ქვეყნის წინაშე დიდი ვალდებულებისა, რადგან ძალიან ძნელია, ღირსეულად ემსახურო მას. ქალბატონმა მარიკამ ეს შეძლო.**

ამგვარ მოკლე გზავნილში, ცხადია, ვერ ისაუბრებ მის უდიდეს დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე, რადგან ის ძალიან მრავალმხრივია. ამის გამო მე მხოლოდ ერთ დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას.

გასული საუკუნის მიწურულს, საბჭოთა იმპერიის პერიოდში, პრინციპულად დადგა საკითხი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენასთან დაკავშირებით. მის ტერიტორიაზე არსებულმა რუსული ჯუმბარმტყორცნების პოლიგონმა ქართულ ისტორიულ ძეგლებს რეალური საფრთხე შეუქმნა. დაიწყო საერთო სახალხო მოძრაობა მათ გადასარჩენად და დავით გარეჯის ტერიტორიიდან სამხედრო პოლიგონის გასატანად. მძლავრ საბჭოთა სამხედრო მანქანასთან ბრძოლა განსაკუთრებით ძნელი იყო, თითქმის უსაგნო. სწორედ ამ დროს ჩაუდგა ქალბატონი მარიკა სათავეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და წარმართა მათი მოქმედება. სწორედ მათმა თავგანწირვამ, საქართველოს მოწინავე საზოგადოებასთან ერთად, შეძლო შეუძლებელი – საბჭოთა სამხედრო პოლიგონი გატანილ იქნა დავით გარეჯის ტერიტორიიდან.

ამჟამად, მიუხედავად თავისი ჭარმაგი ასაკისა, ქალბატონი მარიკა კვლავ დგას თავისი ქვეყნის სადარაჯოზე.

ამის ნათელი მაგალითია ქალბატონი მარიკას აქტიური მოქმედება დღესაც, როდესაც დავით გარეჯის უდაბნოს ისტორიულ ძეგლებს და მთლიანად საქართველოს ამ კუთხეს კვლავ პრობლემები შეექმნა – ეჭვის ქვეშ დააყენეს მთლიანად ამ მხარის ისტორიული საქართველოსთვის და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ქართული კულტურისათვის კუთვნილების საკითხი. ამჟამად ქალბატონი მარიკას აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს პრობლემის ღრმა მეცნიერულ დონეზე დამუშავება და იგი, იმედია, ობიექტურ ჭეშმარიტებას დაადგენს.

ვუსურვოთ ქალბატონ მარიკას ჯანმრთელობა და ბედნიერება. იგი სჭირდება მის სალოცავ სამშობლოს და ყველა ჩვენგანს.

**კონსტანტინე ფიცხელაური**

## ქართული მეცნიერების ინტერესის დამცველი

**XX საუკუნის 70-იანი წლების თსუ ისტორიის ფაკულტეტი გამორჩეული იყო თავისი პროფესურით. წარმოიდგინეთ ვინ ასწავლიდა, ვინ ზრდიდა მომავალ ისტორიკოსებს – გიორგი ჩიტაია და გიორგი მელიქიშვილი, აბელ კიკვიძე და ლევან სანიკიძე, გივი ჟორდანია და ვალერიან მაჭარაძე, ნუკრი შოშიაშვილი და გივი ჯამბურია, გივი კოღუაძე და დევი კაციტაძე, ოთარ ჯაფარიძე და ნათელა ვაჩნაძე, ნოდარ ასათიანი და იაზო კიკვიძე, რეზო ლასკარი და ვოვა ივანოვი, კოტე ანთაძე და გერმან სიმონიძე, გოგი დემეტრაძე და გია ავალიშვილი, აკაკი სურგულაძე და ანდრო ლეკიაშვილი... აკადემიკოსები, პროფესორები, უბრალოდ მასწავლებლები. ყველას ვერ ჩამოთვლი. საოცარი ხალხი იყო, საოცარი პედაგოგები, თავისი საქმის დიდი სპეციალისტები. ბევრი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის. უფრო სწორად – უმრავლესობა. მაგრამ ყველა მათგანი ახსოვს იმ დროის ყველა სტუდენტს, ყველა მათ მიერ აღზრდილ ისტორიკოსს. ახსოვთ და ემადლიერებიან. მართლაც, გამორჩეული პიროვნებები იყვნენ თავისი ნიჭიერებით, ახალგაზრდებზე ზრუნვით. და, აი ამ რჩეულთა შორის იყო და არის ერთი რჩეული ქალბატონი. მისი სახელი და გვარი საქართველოში ყველამ იცის. ისტორიკოსებზე, ფილოლოგებზე და საერთოდ ჰუმანიტარებზე არაფერს ვამბობ. იციან ყველა პროფესიის თუ პროფესიის არ მქონე ადამიანებმა ქალაქად და სოფლად. შემთხვევით არ უწოდა ამ ქალბატონს საქართველოს პატრიარქმა „ქართველთა დედა". მარიამ ლორთქიფანიძე, მართლაც გამორჩეულია ყველაფრით. გამორჩეულია, როგორც მეცნიერი, როგორც აღმზრდელი და დამრიგებელი და როგორც მოქალაქე. გამორჩეულია, როგორც მჭევრმეტყველი ლექტორი და როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი, გამორჩეულია გარეგნობით და გამორჩეულია კდემით.**

გამორჩეულად მკაცრია გამოცდებზე. ყველასთან განურჩევლად. საქართველოს ისტორია ყველამ უნდა იცოდეს! ამიტომ „სამიანის" მსურველიც კი ჩასაბარებლად სამჯერ მაინც უნდა დაიბაროს. მაგრამ, „მკაცრი" მარიამ ლორთქიფანიძე უაღრესად ყურადღებიანი და გულთბილია სტუდენტების მიმართ. ახლახანს, ორი საკმაოდ მძიმე ოპერაცია გადაიტანა ქალბატონმა მარიკამ. რეანიმაციული განყოფილებიდან არც ჰყავდათ გამოყვანილი, სულ რამდენიმე წუთის გამოფხიზლებული იყო და პირველი რაც გაახსენდა მისი მაგისტრანტები იყვნენ, რომლებთანაც გამოცდის ჩატარება ვერ მოასწრო...

დღეს ბევრი იბრალებს საქართველოს ინტერესების დაცვას. ბევრი ჩემულობს პატრიოტობას და მამულიშვილობას. დღეს ადვილია ყველაფერი თქვა და ყველაფერი დაიბრალო. მარიამ ლორთქიფანიძე საბჭოთა იდეოლოგიური წნეხის ურთულეს პირობებში, ყველგან და ყოველთვის იცავდა ქართული მეცნიერების ინტერესებს, თბილისის უნივერსიტეტის ინტერესებს, ქართველი სტუდენტების ინტერესებს, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

მის გაზრდილ ქართველ ისტორიკოსთა დიდი ლაშქარი, მდაბლად თავს უხრის 90 წლის მარიამ ლორთქიფანიძეს!

**P. S. კიდევ ბევრის თქმა შეიძლება მარიამ ლორთქიფანიძეზე. უამრავის თქმა შეიძლება. მაგრამ სათქმელს ვიტოვებ 100 წლისთავის მილოცვისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს 10 წელი საუკუნოვან იუბილემდე, ისეთივე ნაყოფიერი იქნება მისი მეცნიერული მოღვაწეობისთვის, როგორც განვლილი ათწლეულები.**

**აზა აბაშიძე**

## „...კედელი, ვითარცა ქვითკირით ნაგები..."

**დაიბადა მარიამობას, ჭეშმარიტად უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულზე, ქვეყანაში, რომელსაც ღვთისმშობლის კალთა ჰფარავს, გარკვეულწილად – მასაც. ნახევარ საუკუნეზე მეტია მასზე მეტად ცნობილი, სახელგანთქმული, პოპულარული მეცნიერი არავინაა თანამედროვე ქართველთა შორის. ეს, ნაწილობრივ, თავად დარგმაც განაპირობა...**

მან მოიპოვა საყოველთაო აღიარება და უდიდესი სიყვარული ერსა და ბერში. არ მოიძებნება საქართველოში ადამიანი, ვისაც არ სმენია მისი სახელი, რაც მუხლმოუხრელი შრომითა და მიზანმიმართული საქმიანობით მიიღწევა. მაგრამ არის ქ-ნი მარიკას მოღვაწეობის ერთი მხარე, რომელიც სამშობლოსადმი ერთგულებისა და მსახურების სრულიად განსხვავებული ფორმაა და რომლის შესახებ ცოტა ვისმეს თუ სმენია რაიმე. ეს გახლავთ მისი მოღვაწეობა საერთაშორისო ფორუმებზე – კონგრესებზე, კონგრესებს შორის მოსაწვევ ყრილობებზე, კოლოკვიუმებზე, სამეცნიერო კონფერენციებზე, მეცნიერებისა და კულტურის დღეებზე, იდეოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ თავყრილობებზე – გამართულ დისკუსიებში, სადაც ქ-ნი მარიკა სრულიად შეუცვლელი და მართლაც რომ შეუდარებელი გახლდათ. რა პრობლემაც არ უნდა წამოჭრილიყო, მისი მოღვაწეობის ფართო ჰორიზონტისა და მეცნიერული ინტერესების წყალობით, საკადრის პასუხს სცემდა ყველა თავდამსხმელს, რომელთაც ხშირად უცხოელი მეცნიერებიც უმაგრებდნენ ზურგს, არ ვიცი, თავიანთი გულუბრყვილობით თუ სხვა რამ მიზეზით, მიზეზი კი მრავალი შეიძლებოდა ყოფილიყო... რადგან მიუღებელი იყო საერთაშორისო ფორუმებზე საბჭოთა მეცნიერებს შორის ცხარე კამათი და ურთიერთთავდასხმები, და კიდევ იმიტომ, რომ საბჭოთა დელეგაციების ხელმძღვანელები კავკასიის ქვეყნების ისტორიის საკითხებში ჩაუხედავნი იყვნენ, ამიტომ ქ-ნი მარიკას იქ ყოფნა მათთვის ხსნა იყო. კათედრასთან იდგა ლამაზი, კეთილშობილი გარეგნობისა და წარმომავლობის, დინჯი, თავდაჭერილი, დახვეწილი, ტაქტიანი, ღირსებით აღვსილი, ტკბილმოუბარი, მაგრამ პრინციპული, გაუტეხელი ადამიანი, ქვეყნის სადარაჯოზე მდგარი, „ვითარცა კედელი, ქვითკირით ნაგები"... ძალას მოკრება სჭირდება, საქართველოს – ქ-ნი მარიკა.

**ნათელა ვაჩნაძე**

## იგი ჩვენი კერპია, სტუდენტებისთვის – ლეგენდა

**ქართველ ხალხს ოდითგან მოსდევს სამაგალითო კაცთმოყვარული ჩვეულება – ადამიანის ღვაწლის დაფასება, ეს მაგალითია მომავალი თაობებისათვის და ღირსეულ ტრადიციებზე აღზრდის საშუალებაც.**

წელს სახელოვანი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, აკად. მარიამ ლორთქიფანიძის იუბილეა.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ათეული წლების მანძილზე მიხდებოდა ქალბატონ მარიკას გვერდით ყოფნა. იგი ჩვენი კერპია, სტუდენტებისთვის – ლეგენდა. დღემდე მახსოვს კათედრასთან მდგომი ინტელექტუალური მანერის დიდებული ქართველი ქალბატონი, რომლის შესახედაობას ხიბლს ანიჭებდა ნატიფი ნაკვთები და თოვლივით თეთრი თმა. თავისი მრავალშინაარსიანი ლექციებით და გადმოცემის ბრწყინვალე ორატორული ნიჭით იგი ფართოდ ნერგავდა უნივერსიტეტის კედლებში ქართველი ხალხის, მისი მდიდარი ისტორიის სიყვარულსა და პატივისცემას.

არისტოკრატული ტრადიციების მქონე ოჯახში აღზრდამ განაპირობა ქალბატონ მარიკას ხასიათის ბუნება და საუკეთესო თვისებები: სიმტკიცე, სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, გულმოწყალება. ყოველთვის იდგა იქ სადაც უჭირდა ქვეყანას, მეცნიერებსა თუ მეგობრებს, იდგა სიმართლის მხარეს მტკიცედ და შეუდრეკელად, არასოდეს დაუთმია მოქალაქეობრივი და მეცნიერული პრინციპები. ამიტომაც იქცა მისაბაძად თაობებისათვის. იშვიათად ღირსებია თანამედროვეობისაგან მეცნიერს ასეთი პატივი და სიყვარული როგორც მარიამ ლორთქიფანიძეს.

ვულოცავ ამაგდარ მეცნიერს, ჩვენს მოძღვარს, დიდ დედას, დიდებულ საიუბილეო თარიღს, და ვსარგებლობ რა შემთხვევით, მადლობას მოვახსენებ იმ ამაგისთვის, რომელიც ქართველოლოგიური მეცნიერების წინაშე მიუძღვის.

მზეგრძელობა და დღეგრძელობა ყველასთვის საამაყო და საიმედო ქალბატონო მარიკა.

**თამილა ცაგარეიშვილი**

## ხმაგანსმენილი

**ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ქართველი წიგნიერი საზოგადოებისათვის აკადემიკოს მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძეზე უფრო პოპულარული ქართველი მანდილოსანი ძნელად თუ მოიძებნება. ასეთი, ძველი ქართული ლექსიკა რომ მოვიშველიოთ, „ხმაგანსმენილობა", მან დიდი ხანია რაც მოიპოვა და საამისო მიზეზი არა მხოლოდ სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობა უნდა ყოფილიყო, რომელმაც მას ფართო საზოგადოებაში გამოჩენილი ისტორიკოსის სახელი მოუხვეჭა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მის საზოგადოებრივ ძალისხმევას.**

მარიამ ლორთქიფანიძე ბუნებით ფრიად აქტიური პიროვნებაა და ამდენადვე იგი ინტენსიურად იყო და არის ჩაბმული ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. შეიძლება ითქვას, არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება თუ მოვლენა არ ყოფილა ჩვენი ხალხის კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი რომ არ გამოხმაურებოდეს მასმედიის საშუალებით ან უშუალო მონაწილეობით.

როგორც ისტორიკოსმა, მარიამ ლორთქიფანიძემ კარგად იცის ქართველი ხალხის გენეტიკური განწყობა თავისუფლებისადმი, თავგანწირვა ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის და ამიტომ, მისი უმთავრესი საზრუნავი საქართველოს მომავალია. ამიტომაცაა, რომ მარიამ ლორთქიფანიძე ყოველთვის მწვავედ რეაგირებს იმ უსამართლობათა წინააღმდეგ, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას არ აკლია შინაურ თუ გარეულ არაკეთილმოსურნეთაგან.

ვულოცავ ქალბატონ მარიკას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ ჩვეული ენერგიით ხანგრძლივ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის და მისი კულტურის საკეთილდღეოდ.

**დავით მუსხელიშვილი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ეს აფხაზეთის დეიზოლაციის ჩვენი სტრატეგიის ნაწილია“

საქართველოს ახალი ხელისუფლება უახლოეს პერიოდში გადადგამს მთელ რიგ ნაბიჯებს აფხაზეთთან დაკავშირებული კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს გიორგი დვალს საქართველოს რეინტეგრაციის ახალმა სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა აცნობა, საკითხი, უწინარეს ყოვლისა, შეეხება სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც 20 წლის წინათ შეწყდა.

*— თუ განიხილა ბიძინა ივანიშვილის ახალმა კაბინეტმა საკითხი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ კავკასიას შორის აფხაზეთის ტერიტორიის გავლით?*

— ჩვენ ჯერ სამთავრობო დონეზე ეს საკითხი არ განგვიხილავს, თუმცა გარკვეული კონსულტაციები უკვე გაიმართა. ჩემი რწმენაა — ხელი უნდა შევუწყოთ ტრანსპორტის მოძრაობას აფხაზეთის გავლით როგორც სარკინიგზო, ისე საავტომობილო ტრანსპორტისა. თანაც ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვრიცხოთ პოლიტიკური სარჩული და პრობლემა განვიხილოთ მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით. 2003 წელს სოჭში საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტები ედუარდ შევარდნაძე და ვლადიმერ პუტინი წინასწარ შეთანხმდნენ, რომ სარკინიგზო მოძრაობის აღდგენა აფხაზეთის გავლით მოხდება „დევნილთა დაბრუნების პარალელურად“...

*— მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა...*

— საქართველოს ხელისუფლება საკითხს რკინიგზის შესახებ ყოველთვის უკავშირებდა ქართველ ლტოლვილთა დაბრუნებას აფხაზეთში. მაგრამ თავიდანვე ხომ ცხადი იყო, რომ ეს არარეალურია. საქართველომ ვერაფერს მიაღწია: არც ერთი დევნილი არ დაბრუნებულა. არადა, ჩვენ რომ თავის დროზე შევთანხმებულიყავით რკინიგზის აღდგენაზე, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრი ლტოლვილი თავისით დაბრუნდებოდა ამ გზით აფხაზეთში, და ვერავინ მათ ამაში ხელს ვერ შეუშლიდა, თუნდაც ოფიციალური ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში.

*— ესე იგი, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა თავისთავად შეუწყობს ხელს პოლიტიკურ მოწესრიგებას აფხაზეთთან დაკავშირებით, მათ შორის დევნილების დაბრუნებასაც.*

— დიახ. მაგრამ ამის დაფიქსირება დოკუმენტებში არ არის საჭირო და არანაირი „დაკავშირებაც“ არ არის საჭირო. რკინიგზის აღდგენა ხელს შეუწყობს ლტოლვილების დაბრუნებას და



პრობლემის მოწესრიგებას მთლიანად. მით უმეტეს, რომ სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება ხელს შეუწყობს აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებას. როგორც კი აფხაზეთში წინა წლებში გაუმჯობესდა ეკონომიკური სიტუაცია, დაბრუნებულ ლტოლვილთა ნაკადი იზრდებოდა. ავილოთ, მაგალითად, ოლიმპიური მშენებლობა სოჭში. თითქოსდა, ეს არ არის აფხაზეთში, მაგრამ ქართველთა რიცხვი, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკაში, მკვეთრად გაიზარდა. რაც მეტი ეკონომიკური პროექტი განხორციელდება აფხაზეთში საქართველოს მონაწილეობით, მით მეტი შანსია კონფლიქტის გადაჭრისთვის.

ასეთი მიდგომა აფხაზეთის დეიზოლაციის ჩვენი სტრატეგიის ნაწილია. რკინიგზა მაინც მუშაობს: შემადგენლობები გადაადგილდებიან, მაგრამ რუსეთის მხრისკენ და არა საქართველოსკენ, ვინაიდან ჩვენი წინა ხელისუფლება წინააღმდეგი იყო. არ უნდა დავუშვათ, რომ აფხაზეთი ეკონომიკურადაც და ტრანსპორტის მიხედვითაც მიბმული იყოს მხოლოდ რუსეთთან. თუ ჩვენ გავხსნით მოძრაობას ჩვენს მხარესაც, აფხაზეთს გაუჩნდება ალტერნატივა. ამ რკინიგზით შეიძლება ისარგებლოს ყველამ: რუსეთმა, საქართველომ, სომხეთმა. ამით ჩვენი ქვეყნის, როგორც სატრანსპორტო არტერიის, როლი და მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა გაიზრდება: ტვირთები წავა არა მხოლოდ მიმართულებით აღმოსავლეთ-დასავლეთი, არამედ როგორც ჩრდილოეთი-სამხრეთი.

მოდით, დავიწყოთ თუნდაც სატვირთო მატარებლებით. ჩვენ რომ 2003 წელს ეს გაგვეკეთებინა, ამჟამად იმოძრავებდნენ სამგზავრო მატარებლებიც. პოლიტიკაში არ შეიძლება საკითხი დავაყენოთ ასე: ან ყველაფერი, ან არაფერი.

*— თუ განიხილეთ ეს საკითხი აფხაზ ან რუს კოლეგებთან ერთად?*

— არა, მათთან მე ჯერ არანაირი კონტაქტები არ მქონია.

*— და კიდევ, ერთი თქვენი ინიციატივა შეეხება აფხაზური და სამხრეთოსეთური პასპორტების აღიარებას...*

— მე ვსაუბრობდი არა „აღიარებაზე“, არამედ იმის შესახებ, რომ ეს დოკუმენტები მივიჩნიოთ მოქმედ დოკუმენტებად საქართველოს ტერიტორიაზე და გავუთანაბროთ ისინი უფლებებით ქართულ პირადობის მოწმობებს, რათა მათი მფლობელები სარგებლობდნენ იგივე უფლებებით, რითაც სხვები.

*— როდის დაიწყებს პარლამენტი თქვენი ინიციატივების განხილვას?*

— პარლამენტში განხილვის მოლოდინის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს. მთავრობას თავის უფლებამოსილებათა ფარგლებში შეუძლია მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილებანი დამოუკიდებლად. არის საკითხის გადაჭრის შესაძლებლობა ნორმატიული აქტების მეთოდით.

ვერანაირ აუცილებლობას ვერ ვხედავ იმაშიც, რომ შევათანხმოთ პასპორტების საკითხი აფხაზურ და სამხრეთოსეთურ მხარეებთან. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც შეგვიძლია ვიმოქმედოთ ცალმხრივად.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე

**მეცნიერებმა დაიმორჩილეს ხილიც, აღმოაჩინეს საშუალება, აიძულონ იგი, დამწიფდეს, როდესაც საჭიროა**

ახალი ბიოტექნოლოგიები, რომლებზეც მუშაობენ ბრიტანეთის ქალაქ ლესტერის უნივერსიტეტის მეცნიერები, საშუალებას მოგვცემს შევცვალოთ ფერმერების სურვილის მიხედვით პროტეინის დონე მცენარეებში. ეს საშუალებას იძლევა არ ვიყოთ დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე. არახელსაყრელი კლიმატური პროგნოზის შემთხვევაში მოსავლის დამწიფება შეიძლება გადავიტანოთ უფრო ადრეულ ან უფრო გვიან ვადებზე.

* * *

**სამხრეთი კორეის ზოოპარკში სპილოს ლაპარაკი ასწავლეს**

მეცნიერებმა შეამოწმეს სენსაცია და დარწმუნდნენ, რომ სპილო კოშიკს შეუძლია წარმოთქვას ხუთი კორეული სიტყვა, რომლებიც გასაგებია ამ ენის მფლობელთათვის. მაგალითად, რომ თქვას სიტყვა „სალამი“, ცხოველი ხორთუმს იდებს პირში და აყოვნებს ხმის ტრაქტს საჭირო ფორმაში, რის შემდეგაც წარმოთქვამს სიტყვას. თუ რამ აიძულა სპილო აეთვისებინა უცნაური თვისება, გამოცანად რჩება.

* * *

**ამსტერდამში დაიცვეს ტურისტების უფლება — მოიხმარონ მარიხუანა „ყავაშოპებში“**

ქალაქში ნიდერლანდის ყველა „ყავაშოპების“ დაახლოებით მესამედია. შვიდი მილიონი ტურისტიდან, რომლებიც ყოველწლიურად ჩადიან ჰოლანდიის დედაქალაქში, მილიონნახევარი ცდილობს მივიდეს იმ დაწესებულებაში, სადაც მარიხუანა იყიდება. მას შემდეგ, რაც მიიღეს კანონი „ყავაშოპების“ დახურვის შესახებ ტურისტებისთვის, მთავრობაში გაჩაღდა ძლიერი დებატები ამ საკითხთან დაკავშირებით.

* * *

**საბერძნეთის სასამართლომ გაამართლა ჟურნალისტი, რომელმაც გამოაქვეყნა იმ პოლიტიკოსების სია, რომლებსაც საზღვარგარეთ ანგარიშებზე მილიონები ერიცხებათ**

სასამართლომ ჟურნალისტი მიიჩნია უდანაშაულოდ კერძო ხასიათის ინფორმაციის ბოროტი განზრახვით გავრცელებაში. ბრალდება ითვალისწინებდა ჟურნალისტის პატიმრობას ორ წლამდე. სასამართლოს გადაწყვეტილებას ჟურნალისტის გათავისუფლების შესახებ სასამართლოს დარბაზში შეკრებილები ოვაციით შეხვდნენ.

## გამოხმაურება

# მამუკა არეშიძე: სამხრეთკავკასიური გეოპოლიტიკური ბალანსის რღვევას არ გამოვრიცხავ

***ექსპერტი** კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში გაზეთ „კომერსანტში“ გამოქვეყნებულ სტატიას აკრიტიკებს, საქართველოს მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის აღიარებას აბსოლუტურად გამორიცხავს და აცხადებს, რომ დღეს შექმნილი მდგომარეობა ძალიან რთულად პროგნოზირებადია — თუ რა იქნება ზეგ. ექსპერტი სამხრეთკავკასიური გეოპოლიტიკური ბალანსის შესაძლო რღვევასა და ამის რეალობად ქცევის შემთხვევაში საქართველოსათვის კატასტროფულ შედეგებზეც საუბრობს.*

**— „კომერსანტის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ საქმე რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებში პირობითად „ქინძმარაულსა“ და „ბორჯომს“ იქით არ წავა.**

— ახლა, ამ ეტაპზე, რუსეთიც და საქართველოც ცდილობენ განსაზღვრონ, თუ სადამდე შეუძლიათ წასვლა, რისი უფლება აქვთ. მე ასე მგონია. ამავე დროს მე არ ვფიქრობ, რომ „ბორჯომისა“ და „ქინძმარაულის“ იქით წავა საქმე, მე საერთოდ ვფიქრობ, რომ შეიძლება საქმე აქამდეც არ მივიდეს — „ბორჯომამდე“ და „ქინძმარაულამდე“.

ძალიან რთული სათქმელია დღევანდელი გადასახედიდან რას მივაღწევთ. ჩემთვის პირადად მთავარია მოლაპარაკების ფორმატის შექმნა და ამ მოლაპარაკების შინაარსის განსაზღვრა. როდესაც გახდება ჩემთვის ცნობილი მოლაპარაკების შინაარსი, მე ამის შემდეგ შემეძლება შემდეგ ვაკეთო კატეგორიული დასკვნები.

და ამას იცით რატომ ვამბობ? არა მგონია, რომ ჩვენ მაქსიმალურად, ბოლომდე გააზრებული მიდგომები გვქონდეს, იმიტომ, რომ ველოდებით იქითა მხარის რეაქციას. რასაკვირველია, ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველომ სცნოს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა, არის აბსოლუტურად გამორიცხული.

**— სულ მცირე, საქართველოს მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის ფაქტობრივ აღიარებაზეა საუბარი, მაგალითიც არის მოყვანილი საბერძნეთსა და კოსოვოზე. წარმომადგენელზე საუბრობენ, რომელსაც ელჩის სტატუსი არ აქვს.**

— ეს რა მაგალითია?! საბერძნეთსა და პრიშტინას რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან — საბერძნეთის ნაწილი არ არის პრიშტინა და არც ყოფილა არასოდეს. ამ მაგალითიდანაც ჩანს, რომ ეს არის სტატია ჩაუხედავი საზოგადოების დასაბნევადაც კი და ეს მაგალითი აბსოლუტურად არ შეესაბამება საქართველოს რეალობას.

მე მაინც მგონია, რომ ეს არის ზონდაჟური სტატია და, შესაბამისად, შორსმიმავალი დასკვნების კეთება, რა თქმა უნდა, არ ღირს. თუმცა, ვიმეორებ, რომ მაინც შეკვეთილი სტატიის სუნი ასდის. „კომერსანტს“ ახასიათებს ასეთი რამ, რომ ხშირ შემთხვევაში ის ასრულებს გარკვეულ დაკვეთას, სახელმწიფო ინტერესების კვალობაზე“.

**— თუმცა, რუსეთსა და საქართველოს შორის მდგომარეობა ძალიან რთულია...**

— რუსეთსა და საქართველოს შორის მდგომარეობა უკიდურესად რთულია. გარდა იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა დიპლომატიურად განამტკიცა რუსეთმა სათავისოდ, ვხედავთ პროცესს, როდესაც რუსეთი სათავისოდ, გარკვეულწილად, ბელარუსის დაყოლიებასაც ცდილობს. მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ გეოპოლიტიკური ვითარება არ იცვლება ჩვენთვის სასარგებლოდ — ირანის ფაქტორს ვგულისხმობ და არ გამოვრიცხავ სამხრეთკავკასიური გეოპოლიტიკური ბალანსის რღვევას და ამ ბალანსის დარღვევა ჩვენთვის შეიძლება კატასტროფული იყოს.

**— რამდენად რეალურია ეს და რა შეიძლება მოხდეს ამ სამხრეთკავკასიური გეოპოლიტიკური ბალანსის რღვევის შემთხვევაში?**

— სამხრეთკავკასიური გეოპოლიტიკური ბალანსის რღვევა ჩვენს სასარგებლოდ არ იქნება. მეტიც, მე ვერ ვხედავ, რომ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს აქვთ იმის საშუალება, რომ ეს შეაჩერონ. ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს სამხრეთკავკასიური ომი — ყველა ყველას წინააღმდეგ. ეს იქნება პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, სამხედრო დაპირისპირება რუსეთსა და საქართველოს შორის და ამ საქმეში, გარკვეულწილად, თურქული ელემენტიც ჩართული იქნება.

ჩვენ გვჭირდება გარკვეული ბარიერის შექმნა რუსეთისათვის.

გარდა ამისა, რასაკვირველია, დასავლეთის აქტიური მხარდაჭერა უნდა იყოს თუნდაც დეკლარაციის დონეზე, მაგრამ დასავლეთის აქტიური მხარდაჭერა ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მხარდაჭერით მთავრდება და ესაა საქმე.

ამიტომ, ჩვენ ვდგევართ გარკვეული დილემის წინაშე — ამ თვალსაზრისით ჩემთვის მაგალითად არის საუკეთესო ვარიანტი ზურაბ აბაშიძის წარმომადგენლად დანიშვნა, იმიტომ, რომ მისი ფიგურა არის ერთგვარი სამშვიდობო გზავნილი. მეორე — მას აქვს ავტორიტეტი და მიესვლება ძალიან ბევრ საჭირო კაცთან. მართალია, ამან შეიძლება რადიკალურად მდგომარეობა ვერ შეცვალოს, მაგრამ პროცესის დაწყებას ხელს შეუწყობს.

მე ერთი რამის თქმა შემიძლია — მე ვხედავ, მიუხედავად რუსეთის ასეთი „ვაჟკაცურ“ პოზაში დგომისა, რომ გარკვეული ემისრები გამოჩნდნენ საქართველოში — საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც, ასე ვთქვათ, „ვრცელი სახით იღიმიან“ და ეს „ვრცელი სახით ღიმილიც“ გარკვეულწილად გზავნილია. ძალიან ბევრი გამოჩნდა ამ ბოლო დროს.

**ეკა მომცელიძე**

№212. შაბათი, 3 ნოემბერი, 2012 წელი.

### სახელმძღვანელოები

წინა ორი ხელისუფლების მიერ ჩატარებულმა „წარმატებულმა“ რეფორმამ რომ სკოლები გაარემონტა და სასწავლო პროცესი დაანგრია, ალბათ ბევრი დამეთანხმება. მართლაც, სკოლების ფასადებზე აზრა „საშუალო სკოლა“ გაქრა და ის „საჯარო სკოლამ“ შეცვალა.

რა იყო ამ თითქოსდა უმნიშვნელო შეცვლის მიზეზი?

მიზეზი ძალზე სერიოზულია.

ამერიკასა და ევროპაში რამდენიმე ტიპის სკოლაა: უდაბლესი ხარისხის სკოლები ამერიკაში უფასო Public School-ებია, სადაც სასწავლო პროგრამა მეტისმეტადაა გამარტივებული და გონებასუსტი ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული. შემდეგი ხარისხისა „საშუალო“ სკოლაა, რომელსაც მოსდევს „მაღალი“ და „აკადემიური“ სკოლები.

რატომღაც ჩათვალეს, რომ ქართველი ბავშვებისთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნის შვილებისათვის, „Public School“, ანუ „საჯარო სკოლა“ სრულიად საკმარისია და სასწავლო პროგრამების გამარტივებასთან ერთად სკოლების სახელწოდება შესაბამისად შეიცვალა.

გადაშალეთ დღევანდელი სასკოლო სახელმძღვანელოები (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნებში) და ადვილად ნახავთ, რომ ისინი მართლაც გონებასუსტი ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული!

სამაგიეროდ, სახელმძღვანელოები იმდენად უაზრო ფერად-ფერადი სურათებითაა დახუნძლული, რომ მხოლოდ მისი მოცულობის გაზრდას და გაძვირებას ემსახურება. მართლაც, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მეათე კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოში ფერად სურათზე გამოსახულია ანთებული ჩვეულებრივი გაზქურა, რომლის ქვეშ შემდეგი განმარტებაა: „ბუნებრივი აირი იწვის“. იქვე, ფერად სურათზე ელექტროგადამცემი ხაზებია გამოსახული, მეორეზე კი აისბერგი ტივტივებს ოკეანეში შესაბამისი განმარტებით (ყინულის მთები ყოფილა). ვისთვისაა ეს ინფორმაცია განკუთვნილი, თავად განსაჯეთ. ამგვარ ინფორმაციას თქვენც მრავლად იხილავთ სხვადასხვა სახელმძღვანელოებში და დარწმუნდებით, რომ ისინი გონებაჩლუნგი ბავშვებისთვისაა დაწერილი!

უფრო მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოების გამოცემა ბიზნესის საგანი გახდა და დაგვიგროვდა მაკულატურა, რომელშიც მშობელი საკმაოდ დიდ თანხას იხდის. თანაც, რადგან დადგინდა, რომ ერთი სახელმძღვანელოს ფასი 10 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, ერთი საგნის სახელმძღვანელო 5 ნაწილად გაჰყვეს და თვითოეული 10 ლარად იყიდება. საბაზრო ეკონომიკის კანონების სახელმძღვანელოთა ბიზნესში შემოსვლამ ბოლო მოუღო მათ შინაარსობრივ ხარისხს, თუმცა, პოლიგრაფიულად მართლაც მაღალ დონეზეა გამოცემული. ამასთანავე გაჩნდა კორუფციის ახალი არხი, რომელიც ავტორს სკოლის დირექტორებთან და მასწავლებლებთან აკავშირებს.

გარკვეული სასიკეთო ძვრები შეინიშნება მათემატიკის მაღალი კლასების სახელმძღვანელოებში, მაგრამ ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის სახელმძღვანელოების დონე უაღრესად არადამაკმაყოფილებელია.

სამაგიეროდ, ეს მდარე ხარისხის სახელმძღვანელოები საკმაოდ მსხვილყდიანი და სქელტანიანი აღმოჩნდა. ფერადმა სურათებმა წიგნებიდან არა მარტო ტექსტი განდევნა, არამედ საკმაოდ დაამძიმა და მეოთხეკლასელის სკოლაში წასაღები ჩანთის წონამ 4 კილოგრამს გადააჭარბა!!!

რას ვერჩით ბავშვებს, რატომ არ ვუფრთხილდებით მათ ჯანმრთელობას? თუ მათი ნორმალური განათლება არ გვადარდებს, მათ ჯანმრთელობას მაინც ხომ უნდა გავუფრთხილდეთ?

ნორმალური სწავლის ნაცვლად მძიმე ჩანთების ტარება ბავშვების ხერხემალს ზიანს ხომ არ მიაყენებს?

1993 წელს ამერიკელებთან ერთად „მომავლის სკოლა“ დავაარსე. მართალია, სასწავლო პროგრამა არ მომწონდა, მაგრამ სწავლების ფორმამ მიიქცია ჩემი ყურადღება. სწავლების სისტემა ბავშვებისთვის ინდივიდუალური იყო და ძლიერი მოსწავლე სუსტს არ „ელოდებოდა“. ზოგი ჩამორჩებოდა, სხვა კი წინ მიიწევდა თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ თითოეული სახელმძღვანელო 12 სასწავლო რვეულისაგან შედგებოდა. ფერადი სურათები იქ არ იყო წარმოდგენილი და ამდენად, სახელმძღვანელო მთლიანობაში საკმაოდ იაფი იყო.

თუ გვსურს, რომ საქართველოში განათლება მთლიანად არ განადგურდეს და ნიჭიერება გადავარჩინოთ, აუცილებელია, დაარსდეს თუნდაც რამდენიმე მაღალი დონის აკადემიური სკოლა, სადაც ძირითადად ნიჭიერი ბავშვები მოიყრიან თავს მაღალი დონის მასწავლებლებთან ერთად და იქნებ ამ სკოლებისთვის მაინც შეიქმნას სპეციალური მაღალი დონის სახელმძღვანელოები!

თავისუფალი ბაზრის პირობებში ალბათ არ შეიძლება სახელმძღვანელოების ფორმისა და მოცულობის აკრძალვა, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება ამ ამერიკული მიხვედრის ჩვენთან გადმოტანა? მაშინ სახელმძღვანელოები არა მარტო მკვეთრად გაიაფდება, არამედ სასკოლო ჩანთის წონაც მნიშვნელოვნად შემცირდება და ბავშვებს ჯანმრთელობას შევუნარჩუნებთ.

თუმცა, ზოგმა, შედარებით შეძლებულმა მშობელმა სახელმძღვანელოების ორი კომპლექტი შეიძინა: ერთი სკოლაში დატოვა, მეორე კი სახლში. კარგი მიხვედრაა, თუმცა საკმაოდ ძვირი.

მე სხვა გზა ავირჩიე და გადავწყვიტე სახელმძღვანელოები დამეფურცლა, რათა სკოლის ჩანთა შემსუბუქებულიყო. შედეგად, ჩანთის წონა კილონახევრამდე შემცირდა, თუმცა, პერსპექტივაში მისი შემდგომი შემცირებაც შეიძლება, თუ სქელ რვეულებზე უარს ვიტყვით და 12-ფურცლიანებზე გადავალთ.

მაღალი პოლიგრაფიული დონით გამოცემული ფერად-ფერადად აჭრელებული სახელმძღვანელოების შინაარსობრივი დონე ძალზე ჩამორჩება იმ სახელმძღვანელოებს, რომლებიც „კომუნისტური რეჟიმის“ დროს ყველა მოსწავლისთვის აუცილებელი იყო. მართალია, მათი დაძლევა ყველას არ შეეძლო, მაგრამ გარკვეული მიმართულების ნიჭის მქონე ბავშვისთვის ის აუცილებელი იყო. ზოგი მათემატიკურ ან საბუნებისმეტყველო მიმართულებას ირჩევდა, სხვა ჰუმანიტარულ საგნებს ეუფლებოდა და მათემატიკა ნაკლებად ეხერხებოდა. ეს ყველგან ასეა, მაგრამ ნიჭიერი ბავშვების განათლება დაბალი დონის სახელმძღვანელოებით შეზღუდო, უდავოდ დანაშაულია ნიჭიერი ბავშვის მიმართ.

რას ვერჩით ნიჭიერ ბავშვებს? რატომ არ ვაძლევთ მათ ნიჭის გამოვლენის საშუალებას?

მე მქონდა ლექციების სერია სკოლის ბავშვებთან და ბევრი ნიჭიერი და სწავლის მსურველი ბავშვი ვნახე. აღფრთოვანებული ვარ აგვისტოს ბოლოს ბათუმში ჩატარებული სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრით. ვიცი, რომ საქართველოში ბევრი ნიჭიერი ბავშვია და მათ შესაბამის დონეზე განათლებას ხელი უნდა შევუწყოთ.

თუ გვსურს, რომ საქართველოში განათლება მთლიანად არ განადგურდეს და ნიჭიერება გადავარჩინოთ, აუცილებელია, დაარსდეს თუნდაც რამდენიმე მაღალი დონის აკადემიური სკოლა, სადაც ძირითადად ნიჭიერი ბავშვები მოიყრიან თავს მაღალი დონის მასწავლებლებთან ერთად და იქნებ ამ სკოლებისთვის მაინც შეიქმნას სპეციალური მაღალი დონის სახელმძღვანელოები!

საზოგადოდ გავრცელდა მოსაზრება, რომ განათლების სისტემაში კორუფცია დავძლიეთ. რა იყო კორუფციის მიზეზი?

მიზეზი იყო ის მანკიერება, რომ მშობელი უცოდინარობისთვის იხდიდა ფულს, ხოლო უსინდისო ლექტორი აბიტურიენტს და სტუდენტს დაუმსახურებელ შეფასებას უბოძებდა.

# რას ვერჩით ნიჭიერ ბავშვებს?



რა შეიცვალა დღეს?

მხოლოდ ის, რომ დღეს მშობელი უხდის უმაღლეს სასწავლებელს საკმაოდ მოზრდილ თანხას, რომლის ნაწილი პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასზე იხარჯება.

რომელი პროფესორი დაწერს უარყოფით შეფასებას, როდესაც კარგად იცის, რომ მისი და მისი კოლეგების ხელფასი სწორედ ამ სტუდენტების შენატანებზეა დამოკიდებული? ეს ხომ ისევ ჩვეულებრივი კორუფციაა, მხოლოდ სახელმწიფო ხაზინის გავლით „გაპრავებული“?

სამწუხაროდ, ჩვენთან ზოგიერთ, განსაკუთრებით ეკონომიკურ და იურიდიულ სპეციალობებზე, მკვიდრდება სახელმძღვანელოების იძულებით მიყიდვა სტუდენტებზე. ლექტორები წერენ სახელმძღვანელოებს და გამოცდების წინ თავიანთ სტუდენტებს იძულებით შეასყიდებენ. ეს სტუდენტებისგან დამატებით ფულის „ამოქაჩვის“ იძულებითი ფორმაა, რომელიც აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. მიუხედავად „საბაზრო ეკონომიკის“ კანონებისა, აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეიქმნას შესაბამისი მაღალკვალიფიციური საბჭოები, რომელთა მკაცრი განხილვისა და რეკომენდაციის გარეშე არ უნდა გამოიცეს სასკოლო სახელმძღვანელოები.

მაინც საინტერესოა, როგორ უნდა შედგეს საგამოცდო ტესტები ეროვნული გამოცდებისთვის სახელმძღვანელოების ასეთი მრავალფეროვნების პირობებში, როცა მათში განხილული მასალები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება?

ყოფილმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა განაცხადა: „ჩვენ ვაფინანსებთ არა უმაღლეს სასწავლებლებს, არამედ სტუდენტებს!“

სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ უმაღლესი სასწავლებლები განუწყვეტლივ სტუდენტების ძიებაშია და რასაკვირველია, რომ „ნაშოვნი“ სტუდენტები, თუ ფულს გადაიხდიან, სასწავლებლიდან არ გაირიცხება უდაბლესი აკადემიური დონის მიუხედავად.

ამიტომაც, უნივერსიტეტების მთავარი მიზანი სტუდენტების მოზიდვა და მათგან „ფულის ამოღებაა“. ცხადია, ამ დროს ლექციებისა და საერთოდ, სასწავლო პროცესის ამაღლებაზე საუბარი სრულიად ზედმეტია.

სამაგიეროდ ნიჭიერი ბავშვები გვეჩაგრება და მათაც, შესაძლებლობის მიხედვით საზღვარგარეთ გაქცევა ურჩევნიათ.

თუმცა, საზღვარგარეთაც ასეა. მე მომიწია ამსტერდამის უნივერსიტეტში მეოთხეკურსელებისთვის სპეციალური ლექციების მცირე კურსის წაკითხვა და გამაოცა სტუდენტების არც თუ მაღალმა დონემ. გამოცდა უნივერსიტეტის პროფესორ ფერვერდასთან ერთად ჩატარდა და გამოცდის შემდეგ პროფესორმა განმიმარტა, რომ უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტები უკვე მეორე-მესამე კურსიდან ამერიკაში გარბიან და ვინც ჩვენ გვრჩება, უკეთეს შემთხვევაში, სკოლის მასწავლებლობა შეუძლიათო.

უნდა ვაღიარო, რომ სასესიო გამოცდებზე ჩემს მიერ დაწერილი დადებითი შეფასებებიდან 80% არ იმსახურებდა ამ შეფასებას, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, რადგან კანონის თანახმად, უნივერსიტეტის დაფინანსება სტუდენტების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული და 7 „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასება ერთი პროფესორ-მასწავლებლის შტატის შემცირებას ნიშნავდა (ასე იყო კომუნისტების დროს 1973 წლიდან).

მახსოვს, განათლების სამინისტროში ჩემი მუშაობის პერიოდში 1991 წელს ჩამოვიდა ევროპელ განათლების მუშაკთა ჯგუფი, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტების ევროპულ სისტემაში აკრედიტაციით იყო დაინტერესებული. აკრედიტაციის პირობა 20-მდე საკითხს შეიცავდა. ცხადია, იყო ფინანსური მოთხოვნებიც და სამეცნიერო და სასწავლო ლაბორატორიების რაოდენობა და აღჭურვილობა, მაგრამ ერთი მოთხოვნა იყო ძალზე საინტერესო: „უნივერსიტეტი არ უნდა დაამთავროს შესულთა 20%-ზე მეტმა!“

გამეღიმა და წამსვე შეკითხვა მივიღე: „თქვენ არ ეთანხმებით ამ მოთხოვნას? ჰარვარდის უნივერსიტეტს მხოლოდ შესულთა 15-17% ამთავრებს“

ვუთხარი, რომ ეს გენიალური მოთხოვნაა და მართლაც განსაზღვრავს გამოცდების ობიექტურობის ხარისხს. გამახსენდა, რომ პალერმოს უნივერსიტეტს ფიზიკის განხრით წელიწადში მხოლოდ 7-9 სტუდენტი ამთავრებდა.

უნდა ვაღიარო, რომ სასესიო გამოცდებზე ჩემს მიერ დაწერილი დადებითი შეფასებებიდან 80% არ იმსახურებდა ამ შეფასებას, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, რადგან კანონის თანახმად, უნივერსიტეტის დაფინანსება სტუდენტების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული და 7 „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასება ერთი პროფესორ-მასწავლებლის შტატის შემცირებას ნიშნავდა (ასე იყო კომუნისტების დროს 1973 წლიდან).

ამ მხრივ დღეს მდგომარეობა უარესია და სწორედ ამიტომ კატასტროფულად დაეცა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების დონე (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებში). სწორედ ამიტომ, 2006 წელს მე უარი ვთქვი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში პირველკურსელებთან ლექციების კურსზე, რადგან სასესიო გამოცდაზე სტუდენტთა დაახლოებით 75 %-ის ცოდნა არ აღემატებოდა ადრინდელი საშუალო სკოლის მერვეკლასელის დონეს ფიზიკაში.

როგორ გამოვიდეთ ამ უმძიმესი მდგომარეობიდან?

აუცილებელია, რომ თუნდაც ერთი უნივერსიტეტი, სადაც სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული მიმართულებები იქნება, მთლიანად სახელმწიფოს და სხვა შემოწირულობების ხარჯზე ფუნქციონირებდეს, მაღალი სტიპენდიებით და იმდენად ობიექტური გამოცდებით, რომ ეს უნივერსიტეტი 20 %-ზე მეტმა არ უნდა დაამთავროს. სტუდენტთა გაცხრილვა კურსიდან კურსზე გადასვლისას უნდა მოხდეს და კორუფციის თავიდან ასაცილებლად, მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს სტუდენტთა ცოდნაზე. სხვათა შორის, სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა ცოდნის დონის კონტროლი დაწესებულია ისრაელის სკოლებსა და უნივერსიტეტებში, სადაც განათლების სამინისტრო პერიოდულად ატარებს ბავშვების ტესტურ გამოცდებს და თუ შეფასებები განსხვავდება მასწავლებლების შეფასებებისგან, მასწავლებელი იგზავნება კვალიფიკაციის ამაღლების მრავალთვიან სპეციალურ კურსებზე, რომლის შემდეგ მასწავლებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი უბრუნდება სასწავლებელს. ისრაელში ასეთი წესი არა მარტო სახელმწიფო, არამედ კერძო სკოლებზეც ვრცელდება და ამიტომ კერძო სკოლები ბიუჯეტის 30 %-ს სახელმწიფო აფინანსებს.

შეგახსენებთ, რომ მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტში სტუდენტი იხდის იმ თანხის მხოლოდ 10 %-ს, რასაც უნივერსიტეტი მისი სწავლებისთვის ხარჯავს. დანარჩენ თანხას ძირითადად შემოწირულობებით აგროვებენ. მართალია, ზოგ ტექნიკურ სპეციალობაზე სწავლა უფასოა, მაგრამ იურიდიულ, ეკონომიკურ და სამედიცინო სპეციალობებზე გადასახადები მნიშვნელოვნად გაზრდილია.

სახელმწიფო დაფინანსებასთან დაკავშირებით მახსენდება, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც იაპონია მიწასთან იყო გასწორებული, იაპონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ბიუჯეტის 60 % განათლებისთვის გამოყო. თუ რას მიაღწია იაპონიამ, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. შეუძლებელია ეკონომიკის, და საერთოდ, ქვეყნის განვითარება, თუ სათანადოდ არ დაფინანსდა განათლება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მეცნიერება. მეცნიერება სწორედ ის შუქურაა, რომლისკენაც ნიჭიერი ახალგაზრდა მიისწრაფვის და მათი მაღალი დონის განათლების მიღების მოტივაციას უზრუნველყოფს. ამ მიზნის მისაღწევად პარლამენტმა მეცნიერებისა და განათლების კანონებს საფუძვლიანად უნდა გადახედოს, უნდა დაბრუნდეს სამეცნიერო ხარისხები და პროფესორის წოდება მხოლოდ ღირსეულთა ხვედრი უნდა გახდეს, ხოლო პროფესორი სათანადოდ უნდა დაფასდეს.

შეგახსენებთ, რომ მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტში სტუდენტი იხდის იმ თანხის მხოლოდ 10 %-ს, რასაც უნივერსიტეტი მისი სწავლებისთვის ხარჯავს. დანარჩენ თანხას ძირითადად შემოწირულობებით აგროვებენ. მართალია, ზოგ ტექნიკურ სპეციალობაზე სწავლა უფასოა, მაგრამ იურიდიულ, ეკონომიკურ და სამედიცინო სპეციალობებზე გადასახადები მნიშვნელოვნად გაზრდილია.

მართალია, დღევანდელ ეკონომიკურ კრიზისში მყოფ სახელმწიფოს ვერ მოსთხოვ გაიღოს ის თანხა, რომელიც აუცილებელია მეცნიერებისა და განათლების სრულყოფილი განვითარებისათვის, მაგრამ აუცილებლად უნდა დავიწყოთ თუნდაც ერთი უნივერსიტეტისა და მასთან დაკავშირებული სპეციალური მაღალი დონის რამდენიმე სკოლის შექმნით, რომლებიც მთლიანად დაფინანსდება სახელმწიფოსა და შემოწირულობების ხარჯზე. შესაძლოა ეს უკვე არსებულ უნივერსიტეტში სპეციალური დეპარტამენტის გახსნით და მისი სათანადო ფინანსირებით უნდა განხორციელდეს.

მაშინ გადავარჩენთ ნიჭიერი ბავშვების გარკვეულ რაოდენობას და ეს განათლების სისტემის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა უნდა გახდეს.

**მერაბ ჯიბლაძე,**
პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

დიდი ნდობა

# სპორტის დეპარტამენტის უფროსად ირაკლი დოლაბერიძე დაინიშნა

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი, სპორტის ექსპერტი ირაკლი დოლაბერიძე დაინიშნა.**

დოლაბერიძე მის ახალ მოადგილესთან, საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრების მენეჯერ და კლუბ „ლოკომოტივის" მოთამაშე გიორგი ასათიანთან ერთად სამინისტროს უმაღლესი მიღწევების სპორტისა და მასობრივი სპორტის სამმართველოების თანამშრომლებს შეხვდა.

შეხვედრაზე სპორტის დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელმა სამმართველოების თანამშრომლებს საკუთარი ხედვა წარუდგინა და მათთან ერთად უახლოესი



სამოქმედო გეგმა და სპორტულ ფედერაციებთან სამომავლო ურთიერთობის საკითხები განიხილა.

უახლოეს დღეებში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მოადგილეებს და სამინისტროს ახალი მმართველი გუნდის შემადგენლობასაც დაასახელებს.

**ირაკლი დოლაბერიძის ბიოგრაფია**

**დაბადების თარიღი:** 1977 წლის 30 სექტემბერი.

**ოჯახური მდგომარეობა:** დაოჯახებული.

**განათლება:** უმაღლესი.

1994-1998 – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია (წარჩინებით) სპეციალობა –ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი კარატეში; სპორტული ჟურნალისტი).

1998-2001 – საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ასპირანტურა.

1994-1998 – საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი. ეკონომიკის ფაკულტეტი (წარჩინებით), სპეციალობა-ფინანსები და კრედიტი.

1998-2001 – თბილისის სამართლის საერთაშორისო ინსტიტუტი, იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობა – სამართალმცოდნეობა.

2005-2006 – ლაიფციგის უნივერსიტეტი (გერმანია). სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტი, სპეციალობა – სპორტის ფსიქოლოგია.

1998 – TACIS სახელმწიფო მოხელეთა კოლეჯი: საბაზრო ეკონომიკა, საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები, საგადასახადო ადმინისტრირების, კადრების მენეჯმენტი, მართვის მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფის კურსები, სახელწიფო მართვისა და ზოგადი მენეჯმენტის კურსები, კონსტიტუციური სამართლისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის კურსი.

2004-2005 – თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა (ევროპის საბჭო, შვედეთის საზოგადოებრივი ადმინისტრირების საერთაშორისო ინსტიტუტი). შვედური პროექტი – „ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოება".

**სამეცნიერო მოღვაწეობა:**

1997 – „სტუდენტური დღეების" სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებული.

1999 – საქართველოს პრეზიდენტის გრანტის მფლობელი.

2000 – საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

1997-2008 – გამოყენებული სამეცნიერო შრომები ქართულ და უცხოურ შრომათა კრებულებში, საგაზეთო პუბლიკაციები ქართულ პრესაში.

**სპორტული საქმიანობა:**

1992-1999 – საქართველოს პირველობების და ჩემპიონატების გამარჯვებული, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე კიუკუშინ კაი კარატეში, ინსტრუქტორი, შავი ქამარი - 2 დანი.

– შინკიუკუშინკაი კარატეს ფედერაციის გენერალური მდივანი.

– საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

– საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

2004-2006 – წლის საუკეთესო მწვრთნელი (სპორტის აკადემია).

**სამუშაო გამოცდილება:**

2000 – საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ჭიდაობის კათედრის მასწავლებელი კარატეს სპეციალობით.

2001 – საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, მაგისტრატურის უფროსი.

2003 – საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ასპირანტურისა და მაგისტრატურის განყოფილების უფროსი.

2002-2003 – საქართველოს პარლამენტის განათლების, კულტურის, მეცნიერების და სპორტის კომიტეტი, მიწვეული სპეციალისტი.

2005 – საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, განვითარების დეპარტამენტის უფროსი.

2006 – საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ადმინსტრაციის ხელმძღვანელი (არჩეული 4 წლის ვადით).

2007-2008 – ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, რექტორის მრჩეველი

2010-2011 – საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი, სპორტის ექსპერტი.

**სპეციალიზებული ცოდნა:**

**უცხო ენა:** რუსული (კარგად), ინგლისური (საშუალოდ), გერმანული – Einfuhrung in Deutsche Sprache Zertifikat.

კომპიუტერის ცოდნა: კომპიუტერის საოფისე პროგრამები; ინტერნეტი.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# ესპანური საღამო



**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მეოთხე ტურში ესპანური კვარტეტი შინ თამაშობდა და ქულათა მაქსიმუმამდე მცირედი დააკლდა.**

ქართველ გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს მადრიდის „რეალისა" და „კანტუს" ბრძოლა იწვევდა, რომელშიც მანუჩარ მარკოიშვილს მასპინძელთა სნაიპერის, ახალი სეზონის წინ სამშობლოში ნბა-დან დაბრუნებული რუდი ფერნანდესის მეურვეობა უწევდა.

ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ ჩვენი თანამემამულის მოკრძალებული პირადი მონაგარი – 5 ქულა და თითო-თითო მოხსნა-ჩაჭრა. რაც შეეხება თვით შეხვედრას, „სამეფო კლუბი" თავიდანვე სოლიდურ უპირატესობას ფლობდა და საბოლოოდ უპრობლემოდ მიიყვანა საქმე ზედიზედ მეოთხე გამარჯვებამდე – 80:66.

კიდევ უფრო უმოწყალოდ გაუსწორდა მეტოქეს თელ-ავივის „მაკაბი", რაშიც ღირსეული წვლილი გიორგი შერმადინმა შეიტანა. მან 13 წუთში პარტნიორებს 11 ქულა, 5 მოხსნა და 1 დაფარება შეაწია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პოლონური „პროკომი" გათამაშების გამოკვეთილი აუტსაიდერია და დევიდ ბლატს რომ მეტი დრო მიეცა „ჯვაროსანთა" ახალგაზრდა ცენტრისათვის, დარწმუნებულნი ვართ, იგი გაცილებით გაიუმჯობესებდა ინდივიდუალურ სტატისტიკას. დავძენთ, რომ „ნოკია არენის" ბინადრები უდანაკარგოდ ასპარეზობას განაგრძობენ.

**დანარჩენი შედეგები:** „ბარსელონა" – „პარტიზანი" 85:82, „ფენერბაჩე" – „პანათინაიკოსი" 73:64, „უნიკახა" – „ალბა" 67:62, „ჟალგირისი" – „მილანი" 92:87, „კახა ლაბორალი" – „ეფეს პილსენი" 64:76. პირველი ნახევარი ბასკებმა 48:30 მოიგეს, მაგრამ შესვენების შემდეგ იმდენი მოახერხეს, რომ თურქებს სასწაული მოახდენინეს. მეორე ტაიმის ანგარიშია 16:46(!).

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჭიდაობა

# სეზონის ფინიშზე

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ შიდა კალენდარში ეროვნული ჩემპიონატის თარიღი მონიშნა. თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ქვეყნის ჩემპიონ-პრიზიორები 27-28 ნოემბერს, დიღომში მდებარე ძიუდოს აკადემიაში გამოვლინდებიან, ბერძენ-რომაელებს კი იგივე ხალიჩა 24-25 დეკემბერს დაეთმობათ.**

„საჭიდაო წესებში მოსალოდნელი ცვლილებები რომ დადასტურებულიყო, მაშინ საქართველოს პირველობის შედარებით გვიან ჩატარება მოგვიწევდა, მაგრამ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად გვაუწყა, რომ სიახლეებზე არ მუშაობს და ჩვენც წინასწარი გეგმის მიხედვით ვიმოქმედებთ. მომავალი სეზონისთვის მზადებას ტრადიციულად, წლის ბოლოს შევუდგებით", – გვითხრა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მალხაზ ჯორბენაძემ.



მიმდინარე სეზონში ქართულ გეგმაში ორ საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლაც რჩება. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები 9-11 ნოემბერს მოსკოვში, ევროპის ერთა თასზე იჭიდავებს, ხოლო ბერძენ-რომაელები 16-18 ნოემბერს, ასტანაში, ყაზახეთის პრეზიდენტის თასზე გამოვლენ.

**მანუჩარ გიორგაძე**

თაობა

# გორის ტატამზე

**გორმა ძიუდოში პირველი ქართველი ევროპის ჩემპიონის ანზორ ქიბროწაშვილის სახელობის ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა. გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზში გაშლილ ტატამზე 1996-1997 წლებში დაბადებული ძიუდოისტები გაიდნენ.**

ტურნირში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის გუნდების გარდა ბაქოს ნაკრებიც ჩაერთო. საერთო გუნდურ ჩათვლაში თბილისის გუნდმა იმარჯვა 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედლით. ახმეტელი სპორტსმენებიც ორ წონაში გაჩემპიონდნენ, მაგრამ დედაქალაქელებს პრიზიორების რაოდენობით ჩამორჩნენ.

წლის ბოლომდე ამ ასაკობრივ ჯგუფში, სავარაუდოდ, კიდევ ორი შიდა სარეიტინგო ტურნირი გაიმართება, მომავალი სეზონის დასაწყისში კი საქართველოს ჩემპიონატიც ჩატარდება და საერთო შედეგების მიხედვით ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრები დაკომპლექტდება.

**კვარცხლბეკი**

**50 კგ.**
1. ნიკა ჭიკაიძე (ახმეტა),
2. ირაკლი კუპატაძე (საგარეჯო),
3. რობინზონ ბეგლარიშვილი (გორი),
3. გიორგი მირუაშვილი (გორი).

**55 კგ.**
1. ბექა ნათათრალიშვილი (თბილისი),
2. ზურაბ ონიანი (თბილისი),
3. ირაკლი ლიპარტელიანი (თბილისი),
3. ალუდა ჩეკურიშვილი (თბილისი).

**60 კგ.**
1. ზვიად ხუბულური (გორი),
2. გიორგი მეტრეველი (ხაშური),
3. იუსუფ ნაბიევი (ბაქო),
3. გიორგი კაციაშვილი (კასპი).



**66 კგ.**
1. კობა მჭედლიშვილი (საგარეჯო),
2. გიგა გიგაური (მარტყოფი),
3. ჯემალ ბუჩუნტელი (თბილისი),
3. დიმიტრი ცაბაძე (თბილისი).

**73 კგ.**
1. ზურა ლომიძე (ზესტაფონი),
2. გიგა ქევხიშვილი (თბილისი),
3. დათო იმერლიშვილი (ქარელი),
3. ლევან ბექაური (თბილისი).

**81 კგ.**
1. გიორგი ქურდიანი (თბილისი),
2. იესო კვირიკაშვილი (გორი),
3. გიგა ტურაშვილი (თბილისი),
3. ლაშა აბუაშვილი (თბილისი).

**90 კგ.**
1. დავით რამაზაშვილი (ახმეტა),
2. გიორგი გველესიანი (თბილისი),
3. ლევან გლიხაშვილი (გორი),
3. დავით ოზბეთელაშვილი (თბილისი).

**+91 კგ.**
1. მიხეილ ახალაური (ახმეტა),
2. გიორგი ძებისაშვილი (თბილისი),
3. თედო წოწიაშვილი (მცხეთა),
3. გიორგი ფარადაშვილი (ქარელი).

**როსტომ რაჭველიშვილი**

## წიგნი

# დიდი მამულიშვილის დაგვიანებით გამოქვეყნებული ნაშრომი

**საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრმა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრმა უმნიშვნელოვანესი გამოცემა განახორციელეს, წიგნად დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომი „ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები“, რომელიც აქამდე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში იყო დაცული. წიგნი გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხირტლაძემ, ნათია გელდიაშვილის მონაწილეობით.**

ზემო იმერეთში, საჩხერის რაიონში, მდინარე ჯრუჭულას ხეობაში მდებარე ჯრუჭის მონასტერი საყოველთაოდ იყო ცნობილი როგორც უმნიშვნელოვანესი საეკლესიო და კულტურული კერა. მას უმდიდრესი ისტორია გააჩნია, რომელიც ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი და გამომზეურებული. ჯრუჭის მონასტერი XI საუკუნეში დაარსებულად მიაჩნიათ, თუმცა ბოლო დროს იქ მიკვლეული წარწერის ანალიზით მისი აშენება X საუკუნის დასასრულით უნდა დავათარიღოთ. სამწუხაროდ, შუა საუკუნეებში ჯრუჭის მონასტრის მდგომარეობის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. XVIII საუკუნეში მას რაჭის ერისთავი და თავადი წერეთლები ეცილებოდნენ ერთმანეთს. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის მეფე სოლომონ I-მა მონასტერი დამოუკიდებლად გამოაცხადა და მხოლოდ სასაფლაოდ მისცა წერეთლებს, რომლებმაც იგი საბოლოოდ თავიანთ მფლობელობაში მოაქციეს. XIX საუკუნეში ჯრუჭის მონასტერს მრავალი გლეხი ეკუთვნოდა ზემო იმერეთსა და რაჭაში, დიდ ფართობს მოიცავდა მისი კუთვნილი სავარგულები და ტყეები. უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი წიგნები, ოქრო-ვერცხლით შემკული ძვირფასი ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ნივთები ინახებოდა სახელგანთქმულ მონასტერში. რად ღირს თუნდაც ჩვენი ძველი მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები – „ჯრუჭის I“ და „ჯრუჭის II“ ოთხთავები.

ამ სავანემ, როგორც უმნიშვნელოვანესმა ქრისტიანულმა ცენტრმა, კულტურულმა კერამ და ისტორიულმა ძეგლმა XIX საუკუნეშივე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. მას იკვლევდნენ მარი ბროსე, დიუბუა დე მონპერე, დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, ალექსანდრე ხახანაშვილი, პავლე ინგოროყვა და სხვანი. XX საუკუნის 20-ან წლებში მისი წარწერები აღწერა გიორგი ბოჭორიძემ. მაგრამ რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ უმდიდრეს მონასტერს სწორედ საჭირო დროს ისეთი სიძველეთა ქომაგი და ცნობილი მეცნიერი მოუვლინა განგებამ, როგორიც დიდი ექვთიმე თაყაიშვილი – წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი იყო. ექვთიმეს ღვაწლი ჯრუჭის მონასტრის წინაშე განუზომელია. მან 1919 წელს მოინახულა მონასტერი, აღწერა იგი, მისი ხელნაწერები, ხატები და საეკლესიო ნივთები. თან წამოიღო იქიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში უნიკალური წიგნები და სიგელ-გუჯრები.

დღეს განსაკუთრებული როლი ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესრულებულ ჯრუჭის მონასტრის მთავარი ტაძრის, მისი ლაპიდარული და საფლავთა წარწერების აღწერებს, რადგან მონასტერი 1991 წელს მიწისძვრამ დაანგრია, ხოლო შარშან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ტენდერში გამარჯვებულმა ფირმა „არქიტექსმა“ გაწმენდითი სამუშაოები არქეოლოგიური გამოკვლევის გარეშე ისე უყურადღებოდ შეასრულა, რომ რამდენიმე ისტორიული პირის საფლავი გათხარა და კედლის ნაშთების დიდი ნაწილი ხევში გადაყარა. მის მიერ შესრულებული სამუშაოს შემდეგ აღარ ჩანს მეცნიერთა, მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილის, მიერ აღწერილი გიორგი კალატოზის წარწერა და რამდენიმე ბარელიეფი.

ექვთიმე თაყაიშვილი ჯერ ტაძარს, იქ არსებულ სამწირველოებს, გუმბათს, სარკმლებს, კედლებზე არსებულ ბარელიეფებს აგვიწერს, შემდეგ ყურადღებით გადმოაქვს იქ არსებული ლაპიდარული წარწერები და განმარტავს მათ. ამ წარწერებიდან გამომდინარე, ადგენს მონასტრის მფლობელ თავადებს ამა თუ იმ დროს. შემდეგ მეცნიერი ტაძრის შიგნით და მის გარეთ არსებული ისტორიული პირების საფლავების ეპიტაფიებს აღწერს. ეს ეპიტაფიები ყველაზე სრულად მას აქვს გადმოცემული. აქვე აღწერილია უძვირფასესი ხატები და ჯვრები, მათი მხატვრული მნიშვნელობა, ღირებულება, წარმომავლობა და მათზე არსებული უმნიშვნელოვანესი წარწერები.

წიგნში მთავარი ადგილი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერების აღწერას უჭირავს. მეცნიერი ყველაზე დიდი ყურადღებით სწორედ ამ უნიკალურ წიგნებსა და სიგელ-გუჯრებს აღნუსხავს, ყოველმხრივ ახასიათებს მათ, გადმოგვცემს მათ მნიშვნელობას, განმარტავს მინაწერებს და წარმომავლობას, ადგენს მათი გადაწერის ადგილს, დროს, გადამწერებს, შემკვეთებსა და მონასტრისადმი შემწირველებს. აქ არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო ლიტერატურაც გვხვდება, რომელსაც დღეს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ ჩვენი ერის კულტურულ მემკვიდრეობაში.




ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჯრუჭის მონასტრისა და მისი სიძველეების აღწერები დიდი მოცულობისაა და საკმაოდ დიდი წიგნიც გამოვიდა. ეს გამოცემა მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს როგორც დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის ნაშრომებში, ისე ჩვენს ეკლესია-მონასტრებზე არსებულ გამოკვლევებს შორის.

რაც მთავარია, ექვთიმე თაყაიშვილმა ჯრუჭის მონასტრიდან წამოიღო და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჩააბარა უნიკალური წიგნები და სიგელ-გუჯრები. რომ არა მისი ძალისხმევა, ძნელი წარმოსადგენია რა დაემართებოდა ამ უდიდეს სულიერ სიმდიდრეს მოახლოებულ საბჭოთა პერიოდში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელმა ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტმა პავლე აბაშიძემ კარგად გააცნობიერა ექვთიმე თაყაიშვილის საქმიანობის დიდი მნიშვნელობა ერისათვის და მიუხედავად საეპარქიო მმართველობის გაფრთხილებისა, გამოატანა მას ზემოთ აღნიშნული წიგნები და სიგელ-გუჯრები. როგორც ექვთიმესადმი მიწერილი მისი წერილიდან ჩანს, მამა პავლეს დიდი საყვედური და ხარჯიც მიუღია ეპარქიის მმართველებისგან ამის გამო.

დიახ, ძალზე დაგვიანებით, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი დაიბეჭდა. კარგი იქნება, თუ ასევე გამოიცემა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესრულებული მღვიმევისა და კაცხის მონასტრების, აგრეთვე სხვა ეკლესიების აღწერები, რომლებიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

ექვთიმე თაყაიშვილის „ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეების“ გამოცემა მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ისე დიდი მამულიშვილის მემკვიდრეობის სრულყოფილად წარმოდგენისათვის. ასეთი მაგალითები ჩვენი ერის ისტორიიდან ახალ ძალას გვძენს ქვეყნის აღორძინებისა და გამთლიანებისათვის. იმედია, წარსულში სახელგანთქმული ჯრუჭის მონასტერიც სრულყოფილად აღდგება და, მასთან ერთად, მისი მიმდებარე სოფლებიც აღორძინდება და გამრავლდება მთელ საქართველოსთან ერთად.

**გივი ჩილვინაძე**

## „სად წაიყვან სადაურსა“

### კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

# მარიამი – მართა (1050-1103)

**ასული საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ისა და ბორენა დედოფლისა, სამშობლოში მართად მონათლული, მომავალი დედოფალი ბიზანტიისა (1071-1081 წწ.) უკვე მარიამის სახელით.**

ჯერ კიდევ ბავშვი, ბიზანტიის დედოფალმა თეოდორამ შვილად აღსაზრდელად მიიწვია კონსტანტინოპოლში (1056წ; სულაც ყმაწვილქალი, 14-15 წლისა, ცოლად გაჰყვა იმპერატორ კონსტანტინე X დუკას ვაჟს მიხეილ (შემდგომ იმპერატორ მიხეილ VII-ს).

1078-ში, სამეფო კარზე გადატრიალების შედეგად, ტახტზე ავიდა ნიკიფორე III ბოტანიატე; ახალ იმპერატორს მარიამი იმ პირობით მისთხოვდა, რომ ვაჟს, კონსტანტინე პორფიროგენეტს, ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადებდა. ბოტანიატემ პირი გატეხა და მარიამი მიემხრო მის წინააღმდეგ შეთქმულებას, რომელიც ძმებმა ალექსი და ისააკ კომნენოსებმა მოაწყვეს.

1081 წელს იმპერატორად დამჯდარმა ალექსი კომნენოსმა მართლაც აღიარა მარიამის ძე მემკვიდრედ, თუმცა მანაც დაარღვია პირობა (1092წ. მონაზვნად იძულებით აღკვეცილმა მარიამმა განაგრძო ბრძოლა შვილისთვის ბიზანტიის ტახტის მოსაპოვებლად და ამჯერად ალექსი კომნენოსის წინააღმდეგ შეთქმულებაში გაერია (1094წ...

იშვიათი სილამაზისა და განსწავლულობის ქალი ყოფილა, მიმოწერას ეწეოდა ცნობილ ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსთან თეოფილაქტე ბულგარელთან, რომელსაც დედოფალყოფილის შთაგონებით ვრცელი ნაშრომი დაუწერია – „იოანეს სახარების თარგმანება“. მარიამი ხელნაწერებს უკვეთავდა სხვადასხვა ქართულ მონასტერს, მფარველობდა მათ ქართველ ბერებიანა. ეს მან გაათავისუფლა ათონის ივერთა მონასტერი საგადასახადო ვალებისაგან, ადგილ-მამულიც შესწირა მონასტერს; დედასთან, ბორენა დედოფალთან ერთად ააშენა იერუსალიმში კაპათას მონასტერი.

მოამზადა
**თამაზ ებანოიძე**

## ალიან-ჩალიანი

### საგამოძიებო სამსახურის ახალ ხელმძღვანელად აპოლონ კაკაბაძე დაინიშნა

**საქართველოს** ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, საგამოძიებო სამსახურის უფროსად აპოლონ კაკაბაძე დაინიშნა. ხადურის შეფასებით, კაკაბაძე კვალიფიციური კადრია.

– მე კარგად ვიცნობ მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. იცის სისტემის შუქ-ჩრდილები და შეძლებს ნაკლოვანებების აღმოფხვრას და იმ მიღწევების შენარჩუნებას, რაც წინა ხელმძღვანელობის დროს იქნა მიღწეული, – განაცხადა ხადურმა.

აპოლონ კაკაბაძეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. 2007-2009 წლებში მუშაობდა მერიის ადგილობრივი ქონების მართვის სამსახურში. 2004-2005 წლებში იყო ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ სამმართველოში – სამმართველოს უფროსად. ასევე, საგადასახადო დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე.

### ინვესტორთა ვალდებულებების შესრულებით დაინტერესდება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები დაასახელა. მინისტრის განცხადება, სადაც ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებებია განხილული, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი ბიზნესის ხელშეუხებლობა და მისი განვითარებისთვის მაქსიმალურად კომფორტული პირობების შექმნაა.

– ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღდგეს სამართლიანი და კონკურენტული ბიზნეს-გარემო, სადაც ყველასთვის იქნება თამაშის საერთო წესი და აღარ იარსებებს ხელოვნური მონოპოლიები. ჩვენ ერთგული ვრჩებით ყველა იმ საერთაშორისო შეთანხმებისა და ვალდებულებების, რომლებიც საქართველოში ბიზნესის თავისუფლებას და მისი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს. ჩვენი მიზანია, სახელმწიფოსა და ბიზნესსექტორს შორის არსებობდეს სამართლიანი და, რაც მთავარია, ქვეყნის ინტერესების შესაბამისი ურთიერთვალდებულებები, – აცხადებს კვირიკაშვილი.

### ხელახალ გამოძიებას ითხოვენ

**აფრასიძეების** ოჯახის ადვოკატები 2004 წელს სვანეთში ჩატარებული სპეცოპერაციის დეტალების ხელახლა გამოძიებას ითხოვენ. ადვოკატებმა ირმა ჭკადუამ და მალხაზ ჯანგირაშვილმა გუშინ პროკურატურაში ამასთან დაკავშირებით განცხადებაც შეიტანეს. როგორც ირმა ჭკადუამ განაცხადა, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ გამოძიება ობიექტურად ჩატარდება.

– ჩვენ ვთხოვთ პროკურატურას სისხლიანი, ე.წ. სპეცოპერაციის გამოძიებას ობიექტურად, რომელიც აფრასიძეების ოჯახის წინააღმდეგ განხორციელდა. გიორგი ბარამიძემ სპეცოპერაციას ომის კვალიფიკაცია უკვე მიანიჭა, ანუ მან დაადასტურა, რომ იქ ომი მოხდა. ჩვენ გვინდა ყველა დეტალი იქნეს გამოძიებული და შესწავლილი პროკურატურის მიერ, – განაცხადა ჭკადუამ.

გარდა ამისა, მისივე თქმით, ისინი ასევე ითხოვენ პროკურატურისგან, რომ მოხდეს რეაგირება იმ განცხადებაზე, რომელიც მათ 2009 წელს შეიტანეს პროკურატურაში და რომელიც ეხება ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

– ჩვენ ვითხოვთ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას მერაბიშვილის, ბარამიძის, ადეიშვილისა და პრეზიდენტის მიმართ და შესაბამისად, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას, რადგან როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა პრაქტიკულად აღიარებითი ჩვენება მისცა სრულიად საქართველოს და მსოფლიოს, როდესაც მან განაცხადა, რომ აფრასიძეების ოჯახის ამოჟლეტის ბრძანება პირადად გასცა, – აღნიშნა ირმა ჭკადუამ.

ინტერპრესნიუსი

---

**ზურაბ ლომიძე, ვალიკო ლომიძე, თემურ ხუხუნაიშვილი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, საპატიო ბორჯომელი**

**რობერტ ცუცქირიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ულრმეს მწუხარებას გამოვთქვამთ ღირსეული მოქალაქისა და პატრიოტის, პროფესორ**

**გერონტი გასვიანის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.**

## რისკის ფაქტორი

# ომი ჩვენს ორგანიზმში

**ადამიანის ნაწლავები იმ ოდენობით მიკრობებს შეიცავს, რომ მათ კი არ ითვლიან, არამედ... წონით ანგარიშობენ! საერთო ჯამში ორგანიზმში ბიფიდო-და ლაქტობაქტერიების, ასევე სტრეპტოკოკების, ენტეროკოკების, ნაწლავის ჩხირების, აერობული და არაერობული ბაქტერიების ორი კილოგრამი ბინადრობს.**

ამასთან, მიკროფლორის ბალანსი არასტაბილურია და პერიოდულად ირღვევა, თუმცა კი ჯანმრთელ სხეულში სასარგებლო ბაქტერიები მალევე „იმარჯვებენ“. არასწორი კვებით, ავადმყოფობებით ან სტრესებით დასუსტებული კაცის ორგანიზმში უპირატესობა პათოგენური ბაქტერიების მხარესაა, რომლებიც კუჭ-ნაწლავში უსიამო შეგრძნებებს – დიარეას, მეტეორიზმს, მუცლის გაბერვას, ტკივილებს – იწვევენ. თუკი ეს სიმპტომები დიდი ხნის მანძილზე გრძელდება, ექიმები დისბაქტერიოზის (დისბიოზის) დიაგნოზს სვამენ.



კუჭ-ნაწლავის მოქმედების დარღვევები შეიძლება მრავალი დაავადების ნიშანი იყოს. თავდაპირველად ეჭვს ილებენ მოწამვლაზე, ჭიების ივაზიაზე, საკვებზე ალერგიაზე, რომელთა დადგენა ანალიზებით ხდება. ასევე, აუცილებელია, ეგრეთ წოდებული დისბაქტერიოზის ანალიზის ჩატარება: ეს გამოკვლევა მავნე და სასარგებლო მიკროფლორის თანაფარდობის შესაძლებლობას მოგცემთ. დისბაქტერიოზის არსებობის შესახებ მხოლოდ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ლაპარაკი.



**დისბაქტერიოზი – ეს არა დიაგნოზია, არამედ სიმპტომი, იგი ცარიელ ადგილზე არ წარმოიშობა, არამედ ყოველთვის ორგანიზმის სხვა სისტემების გაუმართავ მუშაობას უკავშირდება. ამიტომ, სასარგებლო მიკროფლორის აღდგენას მანამდე აზრი არა აქვს, ვიდრე წონასწორობის დარღვევის მიზეზი არ გახდება ცნობილი. ამისთანა კი შესაძლოა, საკმაოდ მრავლად იყოს.**



### დისბაქტერიოზის ყველაზე ხშირი მიზეზები

- **მშრალად საკვების მიღება;**
- **ერთგვაროვანი კვება, თანაც მნიშვნელობა არა აქვს, თუ რას ანიჭებს კაცი უპირატესობას: სასარგებლო ბოსტნეულს თუ მავნე ტკბილეულს;**
- **ხისტი დიეტები და, მით უმეტეს, შიმშილობა;**
- **ხშირი მოგზაურობები, როცა გარდუვლად იცვლება ცხოვრების შეჩვეული ტიპი;**
- **ანტიბიოტიკებით მკურნალობა;**
- **ხანგრძლივი სტრესი.**

გამომწვევი მიზეზის მოცილების შემდეგ საჭიროა აქტიურ მოქმედებებზე გადასვლა: წვრილ ნაწლავში ჭარბი ბაქტერიების ოდენობის შემცირება, მსხვილ ნაწლავში კი სასარგებლო მიკროფლორის აღდგენა.

როცა „შინაგანი მტერი“ განადგურებულია, შესაძლოა კუჭ-ნაწლავის სასარგებლო მიკროფლორით დასახლება, რისთვისაც სხვადასხვა ბაქტერიულ პრეპარატებს იყენებენ. ისინი ცოცხალ კულტურებს შეიცავენ, რომლებიც მავნე ბაქტერიების მიმართ დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენენ. პრეპარატების სასარგებლო ბაქტერიების დაახლოებით 10 პროცენტი კუჭ-ნაწლავში „მაგრდება“ და ნორმალური მიკროფლორის ფუნქციების შესრულებას იწყებენ, რითაც ადგილობრივ იმუნიტეტს აღადგენენ. სწორედ ამ გზით ყალიბდება სასარგებლო ბაქტერიების მიკროფლორის თავისებური მკვებავი გარემო.

ამ დროს ასევე საჭიროა კვების რეჟიმის კორექტირება. თუკი დისბაქტერიოზს კუჭის მოქმედების შეკვრაც ახლავს, საჭიროა ცომეულზე უარის თქმა და რაციონში მეტი უჯრედოვანისა და სითხის შეტანა. კუჭ-ნაწლავის აშლილობისას კი პირიქით, საჭიროა უმი ბოსტნეულისთვის და ხილისთვის თავის მორიდება.

**თამარ გოგიაშვილი**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვცხოვრობ თბილისში, ვარ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი. მესაჭიროება თიაქრის ოპერაცია. სად შეიძლება გამიკეთონ ოპერაცია და რა თანხის გადახდაა საჭირო?**

**თეკლე ბოცვაძე**

**პასუხი:** გირჩევთ, მიმართოთ ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს (თბილისი, ჟ. შარტავას ქ. ტ7ძ, სადაც მოგცემენ კომპეტენტურ რჩევასა და კონსულტაციას, როგორც ოპერაციის გაკეთების, ისე მისი ღირებულების საკითხებზე.

* * *

**კითხვა: ვიბრძოდი ავღანეთის ომში, საიდანაც ავადმყოფი დავბრუნდი (საბუთები ხელზე მაქვს), მაგრამ ვინაიდან ახალგაზრდა ვიყავი და პენსიონერის სახელი არ მინდოდა, პენსიის დანიშვნაზე არ ვიზრუნე. რაც წლები გადის, მდგომარეობა უფრო მირთულდება, ლამის დავკარგე ყურთასმენა, მაქვს მაღალი წნევა. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვინ დამეხმარება ინვალიდობის ჯგუფის განსაზღვრასა და შემდგომ პენსიის დანიშვნაში?**

**აბელ ოთარაშვილი**

**პასუხი:** გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ (ავღანეთში მიღებული დაავადების დამადასტურებელი ყველა საბუთითძ პოლიკლინიკას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც საფუძვლიანად გამოიკვლევს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ინვალიდობის ჯგუფის დადგენის შემთხვევაში, პენსიას სოციალური მომსახურების სააგენტოს თქვენი რაიონული სამსახური დაგინიშნავთ.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელ ინვალიდებს აქვთ პენსიის მიღების უფლება ჩერნობილში მიღებულ დაავადებასთან დაკავშირებით? მინდა ვიცოდე, ენიშნებათ თუ არა პენსია ბირთვული ავარიის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებს, ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის გამო?**

**კახაბერ კირკიტაძე**

**პასუხი:** „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეობის დროს დაინვალიდებულ პირებს პენსია ენიშნებათ მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მიუხედავად ან საპენსიო ასაკის გამო.

* * *

**კითხვა: იქნებ ამიხსნათ, რა საბუთების წარდგენაა საჭირო ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისთვის საქართველოში პენსიის დასანიშნად.**

**სერგო ამირბეგოვი**

**პასუხი:** ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს უნდა წარუდგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი არ იღებს არანაირ პენსიას ან სოციალურ დახმარებას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლება.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.

იყიდება ბინა სასწრაფოდ!
ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან, თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ საღამოს – 247-57-79.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– მორჩა, მივდივარ შენგან! – კატეგორიული ტონით ამბობს ქალი.
– ვინ ხარ და რატომ მოხვედი?

* * *

– ახლახან გავიგე, რომ ძველი ბერძნები წყურვილს წყლით კი არა, განზავებული ღვინით იკლავდნენ. გადავწყვიტე, მეც გამესინჯა.
– მერე?
– ბერძნები მართალი ყოფილან. წყლით ასე ვერ დავთვრები.



სოფელში სტუმრად მყოფი პატარა მიხო ქალაქში დაბრუნდა და მშობლებს შთაბეჭდილებებს უზიარებს:
– სულ ტყუილი ყოფილა, რომ ამბობდნენ, ძროხა რამეს გვაძლევსო. კი არ გვაძლევს, ძალით ართმევენ.

* * *

პეტერბურგელი მეძავები, როდესაც ყურს მოკრავენ მოსკოველთა ნათქვამს – შეგვიკლეს ხელში ამ პიტერელმა ბოზებმაო, სულაც არ ბრაზობენ, რადგან იციან ეს მათ არ ეხებათ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24